

სამოქალა

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის
პერიოდული ირგანვ.

„LA PATRIE”

Organe du parti National-Démocrate Géorgien.

N 13

შ ი ნ ა რ ს ი :

- | | |
|-----------------------------------------|---------------|
| 1. საშინაო და საგარეო | ალ. ასათიანი. |
| 2. საქართველო და ერთა ლიგა | გ. გვაზავა. |
| 3. ისტორია ერთა თავისუფლების გზით . . . | ელ. პატარიძე |
| 4. სახიფათო გზა | დ. ვაჩინაძე |
| 5. ალ. მღივნის დაქორწინება | * * * |
| 6. ქართველთა კოლონიაში (პარიზში) . . . | * * * |
| 7. სოშოს ქართველთა ასოციაცია | სევერიანე. |
| 8. პრესა | * * * |

სამოგლი



საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის
პერიოდული ღრგანო.

„LA PATRIE”

Organe du parti National - Démocrate Géorgien.

აგვისტო 1933.

№ 13

AOUT 1933.

ს ა შ ი ნ ა მ ღ ა ს ა გ ა რ ე მ ი ს.

უკვე განვლეთ მეხუთმეტე 26 მაისი, უფრო გლოვით, ვიდრე ზემით. საქართველოს თავისუფლების ბრწყინვალე დღის სხივოსნობა არ შემცირებულა ჩვენი ერისათვის. მისი შუქები ძველის ძლიერებით სწვდებიან მისი სულის სიღრმეს და ულვივებენ კვლავ აღდგენისა და მძიმე მონაბის ბორკილების დალეჭის იმედს. მაგრამ ეს იმედის სხივი გარემოცულია ჩვენი ეხლანდელი მწარე ყოფის შავი ორუბლებით. სულიერი სიმტკიცის შენარჩუნება გვმართებს, რომ ის არ დაჩრდილოს ამ შავბნელმა ძალამ. ყოველ - დღიურ გასაჭირებელი ამაღლება და პირად მწარე განცდათა გადალახვა გვჭირიან, რომ დღევანდელმა გასაჭირმა არ დაგვიკარგოს ხეალის იმედი—პიროვნული და ეროვნული სულის ეს უდიდესი ძალა.

ჩვენი თვალის მხედველობა ვერ სცილდება იმ მძიმე ვითარებას, რომელშიცაც იმყოფება ჩვენი ეროვნული საქმე შინ და გარეთ. ხოლო ამ ვიწრო მანძილზე ჯერ კიდევ არაფერი სიანს სანუგეშო და სამედო. აქ ყოველივე ჩვენთვის სავნოა და საზარალო. განუზომელი გასაჭირიც საერთო და პირადი მაღლიდან ძირს გვეზიდება, სულიერსა და სხეულებრივ დაძაბუნებასა და დაქვეითებას გვიქადის. უნდა დავძლიოთ და გადავლახოთ ის; ყოველ დღიურ მწარე ვითარებას არ უნდა დაუმორჩილოთ ჩვენი სული. ჩვენ თვალთა მხედველობის მოკლე მნიშვნელოვანი მხედველობით უნდა ვავაფართოვოთ და იქ ვიპოვით ჩვენი სულიერი სიმტკიცის დაუშრეტელ წყაროს. „რა წისქვილის ქვა არ დატრიალებულა ჩვენს თავზედ, და ყველას გაუქელით, ყველას გაუმაგრდით, შევინახეთ ჩვენი თავი, შევირჩინეთ ჩვენი ქვეყანა, ჩვენი მიწა - წყალი... გაუძელით საბერძნეთს, რომსა, მონაცემებს, არაბებს, ოსმალ - თურქებს, სპარსე-

ლებს, ოჯულიანსა და ურჯულის. ღროშა ქართველობისა, შუბის წვერით, ისრით და ტყვიით დაფლებითი, ჩვენს სისხლში ამოცლებული, ხელში შევირჩინეთ, არავის წავალებინეთ, არავის დავანებეთ, არავის შევაგინებიეთ“. მუდამ უნდა გვახსოვდეს დიდი ილიას ეს სიტყვები. ჩვენი ერის ეს უმაგალითო წარსული და მისი სიმტკიცე, მხნეობა და გაუტეხელი ნებისყოფა თავისუფლებისათვის ბრძოლაში უდიდესი ძალაა ჩვენთვის. ის არის ჩვენი უმთავრესი იმედი, დამარცხება და წაქცევა მას მუდამ გამარჯვებით და აღდგენით შეუცვლია ჩვენი ისტორიის გრძელს გზაზედ და კვლავაც ასე მოხდება.

არ უნდა მივეცეთ სასოწარკვეთილებას იმის გამო, რომ ამ ზომად აბობოქერებულ მსოფლიო ვითარების ტალღებში ჩვენი ეროვნული საქმე საიმედო გზას ჯერ კიდევ ვერ ჰპოულობს. მოთმინებით შეიარაღება გვმართებს, სიფრთხილე და გონებრივი შორისმჭვეტელობა. ასეთს არეულს ხანაში ბევრის დაკარგვაც შეიძლება და ბევრის მოპოებაც.

მაგრამ ვერაფერი გვიშველის, თუ ჩვენ ვერ შევძელით მტკიცე ერთობის დამყარება და მისი შენარჩუნება. ეროვნულ ძალთა კავშირი და თანხმობა საჭიროა და სასარგებლო ყოველ ღროსა და ყოველს პირობებში, მაგრამ ის უკვე გარდაუვალ აუცილებლობას წარმოადგენს ისეთი ეროვნული გასაჭირის ღროს, როგორსაც ჩვენი ერი ამ ხანად განიცდის. არ მოიპოება გონებრივი მოსაზრება, რომლითაც შეიძლებოდეს ასეთს პირობებში ეროვნულ ძალთა დაქსაჭვისა და ერთმანეთზე დაპირდაპირების გამართლება. ეროვნულ არსებობისათვის ბრძოლაში ერთობის საჭიროების ამ ინსტიტუტი მალე გაიმარჯვა საქართველოს მიწა - წყალზე და იქ თანდათან დამყარდა ეს ეროვნული ერთობისა და მთლიანობის აუცილებლობის შეგნება. საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ წარმოებული ბრძოლები და აჯანყებები ასეთი ღროშის ქვეშ სწარმოებდა. საერთოდ დაღვრილი სისხლი, საერთო საფლავები და ათასობით ციმბირში გადაკარგულ ქართველ მამულიშვილთა გუნდები ამის უდავო საბუთია.

სამწუხაროდ ემიგრაციაში ასე ადვილად ვერ მტკიცდება ამ ეროვნულ ერთობის განაღდების საქმე. ამის მიზეზი ის იყო, რომ საქართველოდან გამოსული პოლიტიკური წრეები ადვილად ვერ იცილებდენ ჩვენი თავისუფალი არსებობის ხანაში შეთვისებულს წესებსა, აზრებსა და შეხედულებებს. არა სოციალ - დემოკრატიული წრეები ამის ბრალს სოც. - დემ. მოლვაწეებს სდებდენ. ეს საცხებით სამართლიანი იყო იმ უპირატესი მდგომარეობის მიხედვით, რომელ-შიდაც ეს წრეები იმყოფებოდენ ქართულ პოლიტიკის წარმოების

საქმეში. მაგრამ ახალი ვითარებები გვარწმუნებს, რომ მთელი ბოალი ამ წრეს არ მიეკუთხნება. ამ მხრივ ფრიად საყურადღებო იყო ის კამათი, რომელიც გაიმართა უკანასკნელათ ერთა ლიგის ქართულ საზოგადოების კრებებზე ბ. კ. გვარჯალაძის მოხსენების გამო. როგორც მომხსენებელის ისე სხვა მისი თანამოაზრე ორატორების სიტყვაში მტკიცედ და გარკვეულად იყო განცხადებული, რომ საქართველოს სოციალ-დამოკრატიულ პარტიას სრულიად არ სურს ქართული ეროვნული პოლიტიკის თავის მონოპოლიად გახდენა და სავსებით მტკიცედ და ურეზერვოთ იცავს ეროვნულ ძალთა ნამდვილ ერთობის აუცილებლობას. მაგრამ ამის სრული განაღლება მარტო ჩვენზე არ იყო დამოკიდებული და ჩვენც უნდა გვქონდეს მოქალაქობრივი გამბედავობა აღვიაროთ, რომ ზოგიერთ პოლიტიკურ ჯგუფების პოზიცია ამ უკანასკნელს წლებში გამართლებას ანიჭებს ასეთს განცხადებებს. საქართველოს განთავისუფლების მიზნისათვის, რასაკვირველია ყველა ძალები უნდა გამოვიყენოთ შინ და გარეთ და თვით ეშმაქაც უნდა დაუკავშირდეთ, თუ ეს ჩვენს საქმეს მოუხდება, განცხადა ერთმა. ხუთასი უცხოელი სოციალისტი რომ დავინახო ზლვაში ჩავარდნილი და მათ შორის ერთი ქართველი, მე პირველად ამ ქართველს მივეშველები და არ დავიწყებ იმის გამოძიებას, თუ რა პოლიტიკური მიმართულების არის იგიო, ხოლო ამის შემდეგ სხვებსაც მივეშველები, თუ ძალა მეყოვო, განცხადა მეორემ. ამ მხრივ კიდევ უფრო საყურადღებოა ბ. ნოე უორდანისა წერილი სოციალ-დამოკრატიულ ორგანიზაციებში ჩამოვარდნილ განხეთქილების ლიკვიდაციის გამო და სოც.-დემ. ცენტრალური ბიუროს განცხადება ამავე საგანზე. ეროვნულ ძალთა მთლიანობის საჭიროების სულისკვეთება და მისი რაც შეიძლება მტკიცედ განაღდების საჭიროება ხაზგასმით არის გატარებული ყველა ამ პასუხისმგებელ სიტყვიერ და წერილობით განცხადებში და გაცილებით უფრო ნათლად და ურეზერვოთ, ვიდრე ეს იყო წინეო. ყოველივე ეს იმას მოწმობს, რომ სოციალ-დამოკრატიულ წრეებში საყოველთაოდ მტკიცება ის სულისკვეთება, რომელიც საქართველოში მებრძოლ სოციალ-დამოკრატებში გაცილებით უფრო ადრე დამყარდა. საშინაო და საგარეო ჩვენი ვითარება ამას მოითხოვს. აზრებსა და სიტყვებს ხორცი უნდა შევასხათ. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ამას თავისი დადგებითი შედეგები ექნება ჩვენს რეალურ პოლიტიკურ საქმიანობაში. ეს უმთავრესად ამავე სოციალ-დამოკრატიულ წრეებზე იქნება დამოკიდებული, მაგრამ, რასაკვირველია, არა მარტო მათზე.

— — —

ზემოთ მოხსენებული კამათის დროს ბ. ევგენი გეგეჭკორმა ასე უპასუხა ზოგიერთ თავის აპონენტს: თქვენ გვისაყვედურებთ, რომ

ათეულ წელთა მანძილზე ჩვენ კლასთა ბრძოლას და მით ეროვნულ ძალთა ერთმანეთზე დაპირდაპირებას ვქადაგობდით; წარმოვიდგინოთ, რომ ეს საცხებით ასეც იყო წინეთ და ამით ჩვენს ეროვნულ ძალას ვასუსტებდით. მაგრამ ის ხომ ფაქტია, რომ ამ განმათავისუფლებელ ბრძოლის ხანაში, ჩვენი პარტია ამ საერთო ეროვნული ბრძოლის დროშის ქვეშ იბრძვის სხვა პარტიებთან ერთად, და ამავე დროს სწორეთ ეხლა ჩნდებიან ემიგრაციაში ჯგუფები, რომელნიც ებრძეიან ამ ეროვნული ბრძოლის გაერთიანებულ ფრონტს ყოვლად დაუზოგავი საშვალებებით და ამ საბედისწერო ბრძოლის დროს აკეთებენ იმას, რასაც ჩვენ გვისაყველურებდენ წარსულშიო.

კეთილსინდისიერება მოითხოვს ჩვენგან ეს სიტყვები სამართლიანად მივიჩნიოთ. ემიგრაციაში ხომ მოიპოვებიან ისეთი ჯგუფები, რომელნიც შეურიგებელ ბრძოლას აწარმოებენ ყველა იმ პარტიების წინააღმდაგ, რომელნიც საერთო ეროვნული ბრძოლის დროშის ქვეშ იბრძოდენ და იბრძვიან საქართველოსა და ემიგრაციაში? ამ ბრძოლის ვითომდა იდეური საფუძველი ის არის, რომ მათ არ მოსწონთ ამ პარტიების ძევლათ, საქართველოში ნაწარმოები პოლიტიკა, ან კიდევ ის პოლიტიკა, რომელსაც, მათის აზრით, ეს პარტიები აწარმოებენ მომავალში, განთავისუფლებულს საქართველოში. ეს კეთილი, მაგრამ ამისათვის რა საჭიროებას წარმოადგენ ამ უამად, საქართველოს განთავისუფლებისათვის წარმოებულ ბრძოლის ხანაში, მებრძოლ ძალთა დაქასქვისა და დასუსტებისათვის მუშაობა? რა საჭიროა გაზეთების ბეჭდვა მხოლოდ ლანძლვა - გინები-სათვის და პიროვნული თავდასხმებისათვის? ასეთს მუშაობას ვერავითარი იდეური სამოსელი ვერ დაფარავს. ყველასათვის გამჟღავნებულია წვრილმანი ამბიციები და კიდევ შეტად ნაწყენობის, გაბოროტებისა და ღვარძლიანობის, გრძნობები. ხოლო ეს გრძნობები არაა საიმედო დასამყარი ადამიანის ცხოვრებაში და განსაკუთრებით საქეცინ საქმეში. თვით უკეთილშობილესი ადამიანური გრძნობა სიყვარულისა ავადმყოფობათ იქცევა, როდესაც ის ნორმალურ საზღვარს სცილდება და შური, ღვარძლი და ჯიუტი უკიდურესობა ხომ ცუდია და მავნე კერძო, თუ საქეცინ ურთიერთობის ყოველ დროსა და ყოველს პირობებში... მუდამ უნდა გვახსოვდეს ეს მარტივზე უმარტივესი ჭეშმარიტება.

— : —

თავის მშობლიურ მიწა - წყალზე დაყრდნობილი უძლიერესი სახელმწიფოებიც შიშს განიცდიან ამ უდიდეს საერთაშორისო გართულებათა წინაშე. ბევრს აკვირებს, რომ ერთა შორის ჩამოვარდნილ დავათა ლიკვიდაცია ასე ნელის ნაბიჯით მიღის წინ. იგონებენ, რომ წარსულში ეს უფრო ადვილად გვარდებოდა; ზოგი პფიქრობს, რომ ეს დაუსრულებელი კონფერენციები იმის გამო ვერ იძლევიან საბო-

ლოვო შედეგებს, რომ სახელმწიფოთა ეხლანდელი მმართველების სისტემა ძალზე რთულია და მძიმე. მაგრამ ეს სახელმწიფოებრივი მმართველობის წყობა ერთნაირი არ არის სხვა და სხვა ქვეყნებში, ხოლო შინაურ და საგარეო პოლიტიკის მძიმე წყლულების განკურნება ყველგან ერთნაირად ნელია და ძნელი. ამის უმთავრესი მიზეზი ის არის, რომ ხალხთა ცხოვრება, როგორც საშინაო, ისევე საგარეო, გაცილებით უფრო რთულია ამ ჟამად, ვიღრე ეს იყო ერთი საუკუნის წინ, ნაპოლეონის შემდეგ აშლილ მსოფლიოს დაშოშმანების დროს. გაცილებით მარტივი იყო იმ ხანად სახელმწიფოთა თავდაცვის საქმე, მათი ფინანსები, საშინაო და საგარეო საგაჭრო ურთიერთობა, ტრანსპორტის, საბაჟოებისა თუ ფულის საკითხები. ჩვენ შორიდან მაყურებელნი ვართ ამ მსოფლიო ჭიდილის, თუმცა მის ამა თუ იმ გზით მიმართვას დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის. ამის მოლოდინში ჩვენ გულმოდგინეთ უნდა განვავრდოთ ჩვენი შინაურ ძალთა დარაზმევისა და შემთელების საქმე. ეს ჩვენთვის საჭიროა ყოველს პირობასა და გარემოებაში. შემათანაბეჭებელი და შემარიგებელი სულისკვეთების განმტკიცება უმსაგრესი საფუძველია ამისათვის და ჩვენც ამის გარშე მო უნდა დავაგრავოთ მოელი ჩვენი მაცადინობა და გულისყური, სანამ მას საიმედოთ არ დავაგვირგვინებთ. ეროვნული თავდაცვის ინსტიტიტმა შეაგნებინა ამის აუცილებლობა ჩვენს ერს საქართველოში. ასევე შეიგნო ეს ქართული ემიგრაციის ფართო წრეებმა და ეს უნდა შეიგნონ იმ ჯგუფებმაც, რომელნიც ჯერ კიდევ სხვა გზით მიდიან. ამათვან ზოგიერთი შესაძლოა მუსოლინისა და ჰიტლერის მაგალითებს შეჰყავს შეცდომაში. ისინი დაუპირდაპირდენ მძლავრ პოლიტიკურ ძალებს, დაამარცხეს ისინი და ახალი ძლიერი პარტიები შექმნეს. ეს სრული ჰეშმარიტება, მაგრამ ყოველივე სხვას რომ თავი დავანებოთ, ერთი გარდაუვალი განსხვავება მათსა და ჩვენს შორის. ისინი თავის მიწა - წყალზე მოქმედებენ უძლიერესი სახელმწიფოების ფარგლებში; მათი ბრძოლა და მეტოქეობა სხვა ძალებთან რეალურ საფუძველზე იყო აშენებული და რეალურ მიზნებს ისახავდა. მათი მუშაობა თუ გამარჯვებით არ დასრულდებოდა, მმართველობის საჭე სხვა ძალებს დარჩებოდა და მით მათს ქვეყანს კატასტროფა არ მოელოდა. ხოლო გამარჯვება მათ ჩააბარებდა სახელმწიფოს ფინანსებს, სამხედრო ძალას და საშინაო და საგარეო მმართველობის ყველა იარაღებს. ჩვენს შინაურს ბრძოლაში არც ასეთი გამარჯვებაა შესაძლებელი და არც ასეთი შედეგები. მისი ერთად ერთი შედეგი იქნება ძალთა დაქსაქსვა, დასუსტება, სულიერი სიმტკიცის გატეხა, დაძაბუნება და ჩვენი ეროვნული საქმისადმი იმედის ჩაქრობა და გაქარწყლება. ნუ თუ წარმოსადგენათ მიაჩნიან ვინმეს, რომ შეურიგებელი შინაური ბრძოლისა და ძალთა დაქსაქსვის გზით წავიდოდენ მუსოლინი და ჰიტლერი, უკეთუ ისინი ჩვენს მდგომარეობაში იქნებოდენ?

ყველა ეს კითხვები ფრიად მარტივი არიან და ადვილად შესა-



გნები, მაგრამ როდესაც აღამიანი გაფიცხებულ გრძნობებს აჰყება, მას ავიწყდება ბევრი რამ უდავო და ყველასათვის ნათელი. საერთო ძალით და ერთმანეთზე ზედმოქმედებით უნდა შევძლოთ ხელოვნურად გაფიცხებულ ფსიქოლოგიურ ურთიერთობის განელებასა და დაცხრომას. ეს არის ერთად-ერთი საშვალება, რომ ჩვენ ეროვნულ საქმეს არ დაუკარგოთ თავისი ადგილი იმ დიდი მსოფლიო გართულების ხანაში, სადაც ისედაც მცირედ სჩანს ჩვენი ეროვნული საქმე და ყველა მისი ძალები და სადაც სამკელი მრავალი გვაქვს, მხოლოდ მომკელი მცირე.

აღ. ასათიანი.

საქართველო და ერთა - ლიგა

საქართველოს მდგომარეობა განსაკუთრებულია. ის მარტო ქვეყანაზედ. მას არა აქვს რასსობრივი ნათესაობა არც ერთ სახელმწიფოსთან და არც უნდა ვიქონიოთ იმედი გამოუჩნდეს ვინმე ძლიერი მფარველი და მექომაგე. მისი ისტორია არა ჰგავს სხვა ქვეყნების ისტორიას. არც ირლანდია, არც ბალკანეთი არ იძლევა და ვერც მოგვცემს ეროვნული განთავისუფლებისათვის მისაბაძი მაგალითებს. ჩვენ უნდა ვეძებოთ ჩვენი გზა და თუ კარგათ ჩავუკვირდებით შექმნილ გარემოებას, ამ გზის გამოძებნა არც ისე ძნელია. იგი გაკაფულია თვით საქართველოს ისტორიით და უერთდება იმ დიდ შარაგზას, რომლითაც მიდის მოწინავე კაცობრიობა.

ამ შარა-გზაზე პირველად დაინახავთ უშველებელ შენობას. ეს შენობა გახლავსთ „ერთა ლიგა“. მის ფრონტონზე აწერია: „უფლება და სამართალი“.

ეს პრინციპი ახალი არ არის. იდეალი უფლების და სამართლისა ყველთვის არსებობდა აღამიანის გულში. ახალია არა იდეალი, არამედ ის მსოფლიო ორგანიზაცია, რომლის აუცილებლობა ცხად-ჰყო უკანასკნელმა ომმა. იქ ეხლა შედის 57 სახელმწიფო. ვინ იტყვის, რომ ეს არ იყოს უდიდესი ფაქტორი საერთაშორისო ცხოვრების მოწყობისათვის? ისტორიამ არ იცის მაგალითი, რომ შეყრილიყოს თითქმის მთელი ქვეყნიერება და დაედავთ ერთი ყველასათვის საფალდებულო ხელშეკრულება (პაქტი) მშვიდობიანობის დასამყარებლად.

და აი, ჩვენ ვხედავთ, შვეიცარიის ერთ მშვენიერ ქალაქში, პერიოდულად იკრიბება ერთა ლიგა და მისი აღმასრულებელი ორგანო, საბჭო ერთა ლიგისა. აქ ჰქონდებიან ერთმანეთს ყველა ქვეყნის

წარმომადგენელნი, მინისტრები და დელეგატები; აქ მოაქვთ სხვა და სხვა საჭირო-ბოროტო საკითხები. აქ უახლოვდებიან ერთი-მეორეს აზრი და შეხედულება სხვა და სხვა ქვეყნების; აქ ჰცდილობენ შეარიგონ ათასნაირი მოწინააღმდეგე ინტერესები, მორიგებით გარდა-წყვიტონ საერთა-შორისო დავანი და ამ გზით აიცილონ შეიარაღებული შეტაკებანი. მიზანი ერთია: ჩამოაგდონ მშვიდობიანობა და დაამყარონ საერთაშორისო განწყობილება უფლებას და სამართალზე. თუ იგრე ჰდა საკითხი, თუ ხელმძღვანელი და გზის მანათებელი იდეა არის უფლება და სამართალი, თავის-თავად ცხადია, საქართველო გვერდს ვერ აუხვევს ამ დიდ საერთაშორისო დაწესებულებას. ცოტაა ქვეყნაზე ისეთი ერი, რომელსაც რომ ჰქონდეს ისე უდავო უფლება სუვერენულ არსებობისა, როგორც საქართველოს. სამწუხაროდ საქართველოს არ იცნობდნენ საკმარისად.

კლემანსოს საქართველოს სახელის გავონებაც არ უნდოდა; ლლოიდ-ჯორჯს ხარკოვი გენერალი ეგონა და შეიძლება ამავე აზრის იყო თბილისის შესხებ. ვილსონს არაფერი უთქვამს, მაგრამ მისი ქვეყნის მინისტრმა ალბიმ კი გაითქვა სახელი თავის ცნობილი ნოტით, სადაც ის ამბობს: «soi-disant République Géorgienne». ამ soi-disant მინისტრს ვერც კი წარმოედგია, რომ არსებობს ასეთი ერი, ასეთი სახელმწიფო.... არ შევეხები სხვა მიზეზებს, მაგრამ ეს ერთი საერთო უცოდინარობა იმისი, თუ რა არის საქართველო და რა ფაქტორს წარმოადგენს იგი წინა-აზიაში, საქმარისია, რომ აკესნათ და გავიგოთ ბევრი არა-სასურველი მოვლენები, რაც ჩვენს ქვეყანას გადაელობა წინ მისი სუვერენიტეტის განმტკიცების პროცესში.

საქართველოს ეხლაც არ იცნობენ. მისი უფლება ბევრსა ეხლაც ჰგონია რაღაც განყენებული მოთხოვნილება, რომელსაც არა აქვს-სხვა საფუძველი, გარდა ოცნებისა და ეროვნული თავისუფლებისა. მე არ მინდა შეუდგე აქ ქართველი ერის ქება-დიდებას, ამას არა აქვს ფასი, მაგრამ არ შემიძლია არ აღვნიშნო მოკლედ მაინც არა განყენებული უფლება, არამედ უფლება რეალური, უფლება დამყარებული ხელშექრულებებზე და განმტკიცებული საერთაშორისო აქტებით. ეს გახლავს სწორედ ის სინამდვილე, რომელსაც ანგარიშს უწევს ერთა-ლიგა, ის დადებითი უფლება, რომლის პატივისცემას და სინიდისიერად ასრულებას მოითხოვს იგი.

II

თავდაპირველად უნდა მოვიხსენიო 1783 წელს დადებული ხელ-შეკრულება რუსეთის და საქართველოს შორის. არ იფიქროთ, რომ ამას ჰქონდეს მხოლოდ ისტორიული მნიშვნელობა. ერთა ლიგა არ

არის სამოქალაქო სასამართლო. პროცესუალური წესებს სამოქალაქო უფლებისას აქ ადგილი არა აქვს. საკითხი ჰდგას ეროვნულ სუვერენიტეტზე, რომლის სიდიადე არ იზომება თვით და წლებით და არც ეტევა რაიმე პროცესუალურ ფარგლებში. ამიტომ ჩვენ არ შეგვიძლია განსაკუთრებული ხაზი არ გავუსვათ იმას, თუ რა პირობებში მოხდა ჯერ გაღუნვა ამ სუვერენიტეტის, მერე მისი გადატეხა. ამ პირობებში ისტორიული და იურიდიული ჯამი გამოთქმულია და ჩამოსხმული სწორედ ამ ხელშეკრულებაში.

ამ ხელშეკრულებით საქართველომ, როგორც საერთაშორისო პიროვნებამ, შეიძინა მთელი წყება უფლებისა და მიიღო თავისთავზე მთელი წყება გალდებულებისა. მას ჰყავდა თავის ელჩი რუსეთში, როგორც რუსეთს თავისი ელჩი საქართველოში. დადებულ იყო რუსეთის და საქართველოს შორის სამხედრო კავშირი მათი ტერიტორიის თუ სხვა ინტერესების დასაცველად წინა აზიაში. ტერიტორია, ჩამოგლეჯილი საქართველოს და დაბყრობილი ოსმალეთის-მიერ, უნდა დაპირუნებოდა საქართველოს. არც ქვეყნის გამგეობაში, არც კანონმდებლობაში რუსეთს არა ჰქონდა უფლება ჩარევისა. მხოლოდ საერთაშორისო განწყობილებაში, პოლიტიკა ორივე სახელმწიფოსი უნდა ყოფილიყო შეთანხმებული.

ასეთია ძირითადი დებულებანი ხელშეკრულებისა. მართალია, მაში ირაკლი მეფე იხსენიება არა როგორც მეფე სრულიად საქართველოსა, არამედ როგორც მეფე ქართლ-კახეთისა, მაგრამ ამას არა აქვს მნიშვნელობა. გერმანია ყოველთვის დაყოფილი იყო რამდენიმე სამეფოდ და სამთავროებად, მაგრამ ვის მოუვა თავში სოჭვას, რომ გერმანია არ იყოს ერთი მთლიანი ერი? მითი უფრო არაფელია გასაკვირი, თუ საქართველო მაშინ დაყოფილი იყო სამთავროებად. ეს იყო მხოლოდ ისტორიულად შექმნილი ფორმა მართველობისა და ფორმა-კი იცვლება დროების მიხედვით. ჩვენ ეხლაც, ჩვენს კონსტიტუციაში, მივანიჭეთ ავტონომიური წყობილება აფხაზეთს და აჭარას, მაგრამ ვინ იტყვის, ეს ორი მხარე არ იყოს განუყრელი ნაწილი საქართველოს ეროვნული სხეულისა? ქართველი ერი ერთია, ჩამოსხმული მისი ოცი საუკუნის კულტურით და ამაღლებული ეროვნული შეგნებამდე მისი გონიერივი ამჟექბით. სხვა და სხვაობა მისი პროგნოზების ამტკიცებს მხოლოდ მის სიმდიდრეს და ფერადობას და არა რასიულს ან ეროვნულს შულლსა და შეურიგებლობას.

ამ ნაირად ეჭვის გარეშეა, რომ საქართველო იყო დამოუკიდებელი სახელმწიფო. ხელშეკრულება დადებული იყო არა საქართველოს სუვერენობის მოსასპობად, არამედ მისი განსამტკიცებლად და მისი ტერიტორიალურ მთლიანობის აღსაღენად. რუსეთი მიიქცა სწორედ წინააღმდეგ იმ ვალდებულებისა, რომელიც მან თავის-

თავზე მიიღო: ასტეხა საერთო უკმაყოფილება, მიუსია საქართველოს სპარსეთი და ოსმალეთი; და როცა ამ ბრძოლებში საქართველო სისხლით დაიცალა, თვითონ შემოიჭრა თბილისში და დაიჭირა მთელი ტერიტორია. ჯერ ფაქტიურად მოსპონ ეროვნული მთლიანობა და 1801 წ. შემოიერთა მთელი სამეფო.

ასე აასრულა რუსეთმა პირობანი პირველი ხელშეკრულებისა.

ხალხმა ამ ვერაგობას უბასუხა მთელი რიგი აჯანყებებით. ჩვენთვის საინტერესოა ვიცოდეთ, წაიშალა თუ არა თვით იდეა საქართველოს სამეფოისა? გადაშალეთ ძირითადი კანონები რუსეთის იმპერიისა და თქვენ დაინახავთ, რომ ეს იდეა არ წაშლილა.

იმპერიატორის ტიტულში ჩამოთვლილია ტერიტორიალური შემადგენილობა რუსეთის იმპერიისა: „...იმპერატორი სრულიად რუსეთისა... მეფე პოლონეთისა... დიდი მთავარი ფინლანდისა... მეფე საქართველოისა“... აქედანა სჩანს, რომ რუსეთის იმპერიაში შესულა მთელი საქართველო, როგორც ერთი სამეფო.

იქვე დაინახავთ, რომ ამ სამეფოს აქვს თავისი ღერბი. ამ ღერბში ჩამოთვლილია საქართველოს პროვინციები. ღერბის სათაურია: „ღერბი საქართველოს სამეფოისა“. აშკარაა, საქართველო შედის იმპერიში, როგორც ერთი მთლიანი პოლიტიკური ერთეული.

არა ნაკლებ საგულისხმოა იმპერიის ბეჭედი: ორ-თავიან არწივის გულზე ამოჭრილია სხვა და სხვა შემავალი ქვეყნების ბეჭედები, მათ შორის ბეჭედი „საქართველოს სამეფოისა“. ამ სახელმწიფო ბეჭედს რუსეთი აკრავდა ყოველ საერთაშორისო აქტზე და ყოველ ფულის ნიშანზე. მაშასადამე ყოველი აქტი და ყოველი ფულის ნიშანი ჰქონდებდა მაზე, რომ საქართველო შედის რუსეთის იმპერიაში, როგორც ერთი სამეფო ან სახელმწიფო.

შეიძლება მკითხოთ: რა მნიშვნელობა აქვს ყველაფერს ამას? პასუხს იძლევა გერმანიის ცნობილი იურისტი იელინეკი: როცა ირლვევა ან უქმდება რომელიმე დიდი სახელმწიფო, გზის მანათებელი და მაჩვენებელია სწორედ ეს თეორიული არსება გაუქმდებულ სახელმწიფოთა. მაშინ ჰდგება ერთი თავის მთლიანი ტერიტორიით და ჰქმნის თავის დამოუკიდებელ მთავრობას. აგრეც მოხდა: რუსეთი დაირღვა და აღდგა პოლონეთი, ფინლანდია, საქართველო, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო.

რა საკვირველია, ეს აღდგომა არ მომხდარა სისხლის დაუღვრელად. საჭირო იყო ბრძოლა და თავისგამოდება. აქ აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ამ ბრძოლამ და თავგამოდებამ მიიღო გარკვეული მიმართულება, გაპმართა ხაზი, შეღუნული რუსეთის შემოჭრით კავკასიაში და ჩააყენა ქვეყნის ცხოვრება ისტორიით ამოხაზულ ეროვნულ კალაპოტში. რუსეთი თავის გზით წავიდა, საქართველო თავი-

სით. ორივემ შეკემნეს თავიანთი, დამოუკიდებელი ერთი მეორესა-
გან, მთავრობა. 26 მაისს 1918 წელს თბილისში დიდი ზეიმით გა-
მოცხადდა, რომ „საქართველო დამოუკიდებელი სახელმწიფოა“.
ეს იყო ფაქტი და ფაქტიურად საქართველო ცნობილ იქმნა დაუყოვ-
ნებლივ მრავალ სახელმწიფოთა მიერ. თბილისში ჩამოვიდნენ მათი
დიპლომატიური წარმომადგენლები. შეიქმნა ისეთი გარემოება, რომ
რუსეთმა და საქართველომ საჭიროდ დაინახეს, დაედვათ ახალი
ხელშეკრულება.

ეს მოპედა 7 მაისს 1920 წელს.

ამ ხელშეკრულებაში პირდაპირ აღიარებულია, რომ რუსეთი
„სცნობს ყოველი დავის გარეშე ქართველი ერის სუვერენიტეტის და
თავის ნებით ხელს იღებს ყოველ უფლებაზე, რომელიც მას ჰქონდა
ქართველი ერის და მისი ტერიტორიის მიმართ“—ო.

ამით სამუდამოთ ჰქონდება საკითხი რუს-ქართველთა დამოკი-
დებულობისა. საინტერესოა, რომ რუსეთი ხელს იღებს არა ქართლ-
კახეთის სამეფოზე, როგორც ეს იყო თქმული პირველ ხელშეკრუ-
ლებაში არამედ, სრულიად საქართველოზე, როგორც ეს განსაზღ-
ვრულია რუსეთის ძირითადი კანონებში და ამოჭრილი მის სახელ-
მწიფო ბეჭედში. მართალია, საქართველოს სუვერენიტეტის ცნობას
რუსეთმა წინ მიუმდგარა პრინციპი ერთა თვით-გამორკვევისა, რო-
მლითაც იგი ვითომდა ხელმძღვანელობდა, მაგრამ ეს დემაგოგიური
ბაქა-ბუქი სიმართლეს ვერა ჰქმალავს. საქართველო დიდი ხანია გა-
მორკვეულია თავის თვით საუკუნის ისტორიით, ლიტერატურით და
ხელოვნებით. ამიტომ რუსეთის ცნობა უფრო არის აღიარება იმ და-
ნაშაულის, რაც რუსეთმა ჩაიდინა ქართველი ერის მიმართ 1801 წ.
და ცდა ამ დანაშაულის გამოსწორებისა.

III

ამ ნაირად საკითხი საქართველოს სუვერენიტეტისა გავიდა რუს-
ქართველთა განწყობილების სფეროდან და გადავიდა საერთაშორი-
სო სფეროში.

27 იანვარს 1921 წელს ეს სუვერენიტეტი ცნობილ იქმნა *de jure*
უმაღლეს საბჭოს მიერ, სადაც შედიოდნენ: ინგლისი, საფრანგეთი,
იტალია და იაპონია. გერმანიამ იგი იცნო კიდევ უფრო აღრე; იცნეს
აგრედვე თითქმის ყველა სხვა სახელმწიფოებმა, გარდა ჩრდილო-
ამერიკის შეერთებულ შტატებისა. ეს უდავთ საერთაშორისო აქტე-
ბი სამუდამოდ სწყვეტენ საქართველოს ბედს: იგი—დამოუკიდებელი
სახელმწიფოა და როგორც აგრეთი, ის უზრუნველ ყოფილი უნდა
იყოს ყოველი გარეგანი თავდასხმისაგან. ეს არის ძირითადი პრინ-
ციპი ეხლანდელი საერთაშორისო უფლებისა.

საჭიროა აქვე აღვნიშნო, რომ ეხლანდელი რუსეთის მთავრობაც ცნობილია *de jure*. ეს პნიშნავს, რომ ამ მთავრობის მიერ დადგებული ხელშეკრულება სავალდებულოა მთელი რუსეთისათვის, როგორიც რომ არ იყოს მისი მთვრობა. სავალდებულოა მაშასადამე ის ხელშეკრულებაც, რომელიც დაიდო 7 მაისს 1920 წ., და ეს—არა მარტო იმიტომ, რომ რუსეთის მთავრობა კანონიერია, არამედ უფრო იმიტომ, რომ საქართველოს სუვერენიტეტის საკითხი შევიდა საერთაშორისო სფეროში და მიიღო საერთაშორისო სანქცია—ცნობა *de jure*.

მიუხედავად ამისა რუსეთი კიდევ დაეცა საქართველოს, კიდევ მოსპონ მისი დამოუკიდებლობა და კიდევ დაიჭირა მისი ტერიტორია.

IV

ეს იყო ისეთი დარღვევა, თუ შეიძლება ასე ითქვას, „საერთაშორისო კონსტიტუციისა“, ისეთი თავდასხმა, რომ მან გამოიწვია დიდი აღმფოთება მთელს ევროპაში. აუარებელია პროტესტები გამოთქმული პრესაში თუ პოლიტიკურ წრეებში.

ჩეენთვის საინტერესოა ის, თუ რა პოზიცია დაიჭირა ერთა ლიგამ ამ დანაშაულის მიმართ? როგორც მოგახსენეთ ერთა ლიგაში შედის 57 სახელმწიფო. იქ მიღებული დადგენილება არ არის უბრალო გამოცხადება სიმბატიის ან ანტიპატიისა. ის არის პასუხი და ერთნაირი წეს-რიგის მიღება შესახებ დაყენებული პრობლემისა. პრობლემა კი ცხადზე უცხადესია: შეიძლება თუ არა თავდასხმით და ომით მოსპონ სახელმწიფოსი, რომლის სუვერენიტეტი საერთაშორისოდ არის ცნობილი?

ეს საკითხი იღგა ერთა ლიგაში ორჯერ, 1922 და 1924: ორჯერვე მიღებულ იქმნა ერთხმად ერთი და იგივე დადგენილება. აი ეს რეზოლუცია:

„დაევალოს ერთა ლიგის საბჭოს, თვალყური აღევნოს ამ მხარის ამბებს და არ გამოუშვას ხელსაყრელი მომენტი, რათა ეს ქვეყანა ჩაყენებულ იქმნას ნორმალურ პირობებში, თანახმად საერთაშორისო უფლებისა.“

თავდაპირველად ყურადღებას იპყრობს სიტყვა: „თანახმად საერთაშორისო უფლებისა“. რას პნიშნავს ეს? აბდელ-კრიმი ორი წელიწადი გმირულად ებრძოდა საფრანგეთის და ისპანიის შეერთებულ ძალებს; იყო დიდი აჯანყება სირიაშიდაც. მიუხედავად ამისა არც მართვისი, არც სირიის საკითხი არ დასმული ერთა ლიგაში. აშკარაა, არ დაისვა იმიტომ, რომ ამ ქვეყნებს არ ჰქონდათ ის „საერთაშორისო უფლება“, რომელიც აქვს საქართველოს. შემდეგ: „ქვეყანა უნდა დაუბრუნდეს ნორმალურ პირობებსთ“. ცხადია, საქართველოს

ოკუპაცია რუსეთის მიერ არღვევს საერთაშორისო უფლების ნორმებს და ჰქმნის, ერთა ლიგის შეხედულებით, არა-ნორმალურ მდგომარეობას.—როგორ უნდა მოჰქდეს აღდგენა ამ ნორმალური პირობებისა? ლიგა ამბობს: „თვალ-ყური ადევნოს და არ გამოუშვას ხელ-საყრელი მომენტი“. რა არის ეს ხელ-საყრელი მომენტი? აშკარაა, ხელ-საყრელ მომენტად უნდა ჩაითვალოს ისეთი მოვლენა, რომელიც შეძლებას მისცემს ერთა ლიგას ჩაერიოს რუსეთის საქმეებში. ეს მომენტი არ არის ისე შორი ან ისე შეუძლებელი, როგორც ეს შეიძლება ბევრსა ჰვინია. რუსეთი მიდის ისეთი გზით, რომ იმას გამოსავალი არა აქვს: ან შიგნიდან აფეთქდება, ან შეეხეთქება რომელიმე მეზობელ სახელმწიფოს, ან შეიძლება თვითონ მოინდომოს შესვლა ერთა ლიგაში. სამივე შემთხვევაში ჰდგება სწორედ ის ხელსაყრელი მომენტი, რომელიც საბჭომ არ უნდა გამოუშვას, რომ დაბრუნოს ქვეყანა ნორმალურ პირობებს ე. ი. აღადგინოს მისი სუვერენიტეტი.

აი პოზიცია ერთა ლიგისა. იგი ცხადია და გამორკვეული.

V

მაგრამ ვინ უნდა დააყენოს ეს საკითხი ერთა ლიგაში, რა რომ დადგება ხელსაყრელი მომენტი? საქართველოს უფლება ცხადია და უდავო, მაგრამ ყოველ უფლებას უნდა დამცველი, უნდა დარაჯი. ვის შეიძლია ერთს სახელით გამოვიდეს და ილაპარაკოს? აქ დიდი მნიშვნელობა აქვს, რასაკვირველია, ეროვნულ მთავრობას, გამოსულს საყოველთაო არჩევნებიდან. ეს იარაღი ჩვენ ხელიდან არ უნდა გავუშვათ, უნდა იმით ვისარგებლოთ და ამოცუროთ ყოველი შესაძლებლობა, რომელსაც იგი იძლევა. მაგრამ შეიძლება ეს არ ქმარა, შეიძლება იმას აღმოუჩნდეს რამე დაბრუნოება, მართალი თუ უმართებულო, უდავო თუ სადავო, მაშინ?! ვინ უნდა ამოიღოს ხმა, როცა ხმის ამოღება არ შეუძლია შებოჭილ ერს?

ასეთი მომენტი ახალი არ არის ჩვენს ისტორიაში. 1856 წელს, პარიზის კონგრესზე, ერთი ქართველიც ვერ გამოცხადდა, თუმცა პირდაპირ დასმული იყო საკითხი საქართველოს შესახებ. რად მოხდა ეს? იმიტომ, რომ რუსეთმა დროზე შემოარტყა საქართველოს ისეთი რკალი, რომლის გადაფრენა ვერ შესძლო, ვერც ერთმა მამული-შვილმა, თუმცა ეროვნულ მოძრაობის სათავეში მაშინ იდგა ისეთი მამული-შვილი, როგორიც იყო დიმიტრი ყიფიანი. ისტორიამ ჰქუა უნდა გვასწავლოს. საქართველო ეხლაც შემოარტყმულია გარდაუვალი რკალით. არ დაგვემართოს ის, რაც დაგვემართა პარიზის კონგრესზე.

მაშინ საკითხი იდგა ამ სათაურით: „ბედი იმ ტერიტორიისა, რომელიც მდებარეობს შავი-ზღვის აღმოსავლეთით“—ო. საკითხი იდ-

გა მხოლოდ ოთხი თუ ხუთი სახელმწიფოს წინაშე, ე. ი. იმ სახელმწიფოთა წინაშე, რომლებიც მონაწილე იყვნენ ყირიმის მომსა: ინგლისი, საფრანგეთი, ოსმალეთი, პიემონტი და რუსეთი.

ეხლა გარემოება სულ სხვაა. ჩვენი საკითხი ჰდგას არა ოთხის თუ ხუთი სახელმწიფოს წინაშე, არამედ ერთა ლიგაში, ე. ი. 57 სახელმწიფოს წინაშე; ჰდგას არა ბუნდოვნად და ქარალმულად, არა-მედ პირდაპირ სახელდობით საქართველოზე. მაშინ ქართველი ერის სუვერენიტეტი შეიძლება კიდევ ვისმეს მიაჩნდა საღავოდ, ეხლა იგი უდავოა, საერთაშორისოდ ცნობილი და მიღებული... რა სირცევილი იქნება, თუ ჩვენ ამ კონიუნკტურით ვერ ვისარგებლეთ და ეს მომენტი გამოვარდება. ამას ისტორია ჩვენ არასოდეს არ გვაპატიებს.

ამიტომ კიდევ გეკითხებით: ვინ არის დარაჯი? ვინა ჰდგას საქართველოს თავისუფლების თერმოპილებში? ეს თერმოპილები არა ჰდევს ამ უახალ კავკასიის ულელტეხილზე. ის ჰდევს იმ დიდ საერთაშორისო ორგანიზაციაში, რომელსაც ჰქვიან ერთა ლიგა.

როგორ ცნდა მიუვდეთ ამ დიდ დაწესებულებას, როცა ჩვენ იქ კარი დახშული გვაქვს? აი ამ პირობებში, ამ გაჭირვებულ მდგომარეობაში, ნათლად იხატება როლი იმ „ერთა ლიგისათვის საერთაშორისო კავშირისა“, სადაც საქართველო შედის, როგორც სრულ-უფლებიანი წევრი.

რა არის ეს კავშირი?

ამ კავშირში წარმოდგენილია თითქმის ყველა ერი ევროპის, ამერიკის და აზიისა. აქ შეხვდებით სხვა და სხვა პოლიტიკურ მიმართულების გამოჩენილ სახელმწიფო მოღვაწეებს, მწერლებს და მეცნიერებს. წევრთა რიცხვი ზოგი საზოგადოებისა ითვლება მილიონებით. პერიოდულად იყრიბება ამ კავშირის კონგრესი; ჰქითხულობები მოხსენებებს, არჩევენ საერთო საკითხებს, ამოძრავებენ საზოგადოებრივ აზრს და ჰქმნიან გაღაწყვეტილ შეხედულებას ამა თუ იმ საერთაშორისო პრობლემაზე. მას მუდმივი ურთიერთობა აქვს ერთა ლიგის დაწესებულებებთან. კავშირის მიზანია: ემსახუროს ერთა ლიგის მიზნებს ე. ი. მშვიდობიანობის და სამართლიანობის დამყარებას საერთაშორისო განწყობილებაში.

მშვიდობიანობა და სამართლი! განა სხვა რამეა საქართველოს მოთხოვნილება? განა სხვა რამეა აღდგენა მისი უფლებისა, აგრეუსირცხვილოდ შელახულის და ფეხქვეშ გათელილის რუს. იმპერიალიზმის მიერ? თუ ამ უამაღ საქართველო შეკრულია და შებოჭვილი, თუ ამ უამაღ მას არ შეუძლია ხმის ამოღება, განა ცოტაა გადმოხვეწილი ქართველობა, გაფანტული დედა-მიწის ზურგზე? აითველი ქართველი, ნატეხია ეროვნული სხეულის და მატარებელი მის სულის და შეგნებისა. შემოკრება და შეკავშირება ყველა ამ ნატე-



ხების იქნება ის ბრწყინვალე აშუქება, რომელიც უნდა შეიქრას მსოფლიო პოლიტიკაში და გაანათოს იქ ნამდვილი სახე ქართველი ერის: მისი ოცი საუკუნის კულტურა, მისი უფლებანი და გარდაწყვეტილი ნებისყოფა ამ უფლებათა აღსადგენად.

აი ჩვენი გზა, ის უერთება იმ დიდ შარა-გზას, რომლითაც მიღის მოწინავე კაცობრიობა.

აქ ცველა უნდა ვიყოთ შეერთებული და ერთსულოვანი, რომ სახელოვანად გავიაროდ საშინელი მოსახვევი, რომლის წინაშე ჰდგას ქართველი ერი.

აქ სისუსტეს, ეჭვსა თუ დაღლილობას, არასოდეს არ გვაპატიებს ჩვენი ქვეყნის ისტორია.

გიორგი გვაზავა.

ისტორია ერთა თავისუფლების გზით

ქველი დროის სახელმწიფოს ერთად-ერთი დასაყრდნობი ფიზიკური უხეში ძალაა. ის არის სახელმწიფოს საშინაო და საგარეო საქმეთა მომწერლიგებელი. ფიზიკურ ძალათა ჭიდილს თანასღევს ძლეულის მონაბა მძლეველისადმი. ბატონ-ყმობა ახასიათებს სახელმწიფოს ეკონომიური და სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრების ყოველს დარგს. ადამიანის პიროვნება და ეროვნული მეობა, უფლება აყრილი უხეში ძალის მიერ, ყმო და მონათ არის გამოცხადებული. სახელმწიფოს საზღვრები იქა სდევს, სადაც მისი ფიზიკური ძალა, მეორე სახელმწიფოს ფიზიკურსავე ძალას შეუჩერებია. ასეთს სახელმწიფოს სათავეში უდის მონარქი, რომელიც თავის პირად შეხედულებათა და ნება-სურვილის მიხედვით, უხეში ძალის საშუალებით მართავს და განაგებს ძალის საფუძველზედ იერარქიულად აღშენებულს სახელმწიფოს. უფლება აყრილ ადამიანთა საზოგადოებანი: ეკლესია, მწერლობა, ხელოვნება ძალაზედ დაფუძნებული სახელმწიფო წყობილების უფლებრივსა და ზენობრივს დასაბუთებას ემსახურება. ყოველი უფლება ღმერთისაგან გარდმოდის. მონარქი მისი წარმომადგენელია ამა ქვეყნად და ყოველგვარი უფლება შხოლოდ მასში ნსახიერდება. მწერლობაში ეგრედ წოდებული კლასიციზმი კისრულობს ამ როლს. ღმერთის, ავტორიტეტისა და სახელმწიფოს სახელის ამ როლს. ღმერთის, ავტორიტეტისა და სახელმწიფოს სახელობს ამ როლს. ღმერთის, ავტორიტეტისა და სახელმწიფოს სახელის ფილოსოფიურად ასაბუთებს აბსოლუტურს მონარქიას. მასში განსახიერებულს ფიზიკურს ძალას ის უპირისისპირებს უფლებას და შორალს პიროვნულს თუ საზოგადოებრივს და გამარჯვებასაც ამ ფიზიკურ ძალას ანიჭებს.

ამავე წყაროდან გაღმოდის ის ნაკადი, რომელსაც იმპერიალიზმი ეწოდება და იგივე კლასიციზმია მისი არხის გამჭრელი. „მხოლოდ რომაელებისთვის მოუცია მალალს ღმერთს, ამბობდა რომაელთა დიდი პოეტი ვირგილი, უფლება მთელი მსოფლიო დააჩიქოს და განაგოს, ხოლო მიწის პირისაგან აღვავოს და მოსპოს ის ხალხი, რომელიც მას არ დაემორჩილება“. ვირგილის ამ კალმითა და მელნით დაწერილს აზრს რომის იმპერატორები ცეცხლითა და მახვილით ანხორციელებდნენ. შემდეგ ბიზანტიაც ამავე გზით მიდის, ხოლო ის ქრისტიანულ სამოსელშია გახვეული. მონარქიული გერმანეთიც ძველი დროითგანვე „წმიდა იმპერიის“ შექმნაზედ ოცნებობს. მის ქრისტიანიზმის ქურქს შემნდა გერმანული ყაიდის ფილოსოფიური სარჩულიც გამოაკერეს იმ დროის ფილოსოფოსებმა. სპინზამ ადამიანი ღვთის დაუსრულებელი ვონების ნაწილადათ გმოაცხადა. ეს უკანასკნელი დებულება ფიხტმ შემდევნაირათ განავითარა: „გერმანელ ერს, რომლის ვონება-აზროვნება უსაზღვროა, მაღალმა ღმერთმა ღვთაებრივი მისია გარდომისცა — მართოს - ვანაგოს მთელი მსოფლიო. რომ გერმანელების, მთელს მსოფლიოზედ გაბატონების სურვილი არის ამავე დროს ნება-სურვილი უმაღლესი ღმერთისა. რომ მხოლოდ ერთად-ერთს გერმანეთის ერს აქვს ყოველი უფლება, დანარჩენ ერთა ერთად-ერთი უფლება კი მისდამი მორჩილებაა“.

გეველმა მორიგეობა შემოილო, „ღვთაება მორიგეობით სახიერდება რასიულად უმაღლეს ერებში, ამბობს ივი. დღეს გერმანელი ერის რიგია, დღევანდელი მსოფლიო გერმანულს ეპოქაში შევიდა და სხვა ერთა ძალა-უფლება საპნის ბუშტივით სკდება გერმანელი ერის სიძლიერის წინაშე“. გერმანელი ერის შესიანიზმის ფილოსოფია გობენის მიერ ამ ერის რასიული უპირატესობის დასაბუთების ცდით დასრულდა. ხოლო ამგვარად ფილოსოფიურად დასაბუთებული იმპერიალიზმის განაღდების უკანასკნელი იმპერატორის ცდა დიდის ეროვნულის კატასტროფით დაბოლოვდა. ინგლისის იმპერიალიზმსაც არ დაჰკლებია ფილოსოფიური დასაბუთება; არც პოლიტიკური საფენელი და არც მისი განხორციელების სამხედრო ოუ მშვიდობიანი პრაქტიკული ცდები. დიდი ხანი როდია რაც ინგლისის ერთმა დღმა სახელმწიფო კაცმა, ლოიდ-ჯორჯმა ინგლისის ერი—რასა მსოფლიოს ხელმძღვანელად ღვთისაგან ხელდასმულად გამოაცხადა. კლასიკური მიმართულების მიერ საუკუნოებით ნაქადაგები იმპერიალისტური იდეები იმოდენად დაფუძნებული იყო მსოფლიოში, რომ პიროვნული და ეროვნული თავისუფლების წყარო დიდი ოევოლუციის სამშობლოს შვილს ვიქტორ გიუგოსაც კი შემდეგი ათქმევნა: „ფრინგის ერი არის მსოფლიოს თავი-ხელმძღვანელი, რომლის დანიშნულებაა სხვა ხალხთა აღზრდა და აყვანა ცივილიზაციის უკანასკნელს საფეხურზედ“—ო.

ასეთ იდეებზედ იყო აღშენებული ძველი იმპერიები: დიდი რუ-

სეთის, ოსმალეთის, ავსტრიის, გერმანეთის, ინგლისის და სხ. მე ვე-
ებერთელმა სატუსალოებში დამწყვდეული იყო უფლება აყრილ და
ხუნდებ გაყრილ ადამიანთა მილიონები და უფლება წართმეულ და-
მონებულ ეროვნებათა მრავალი ათეულები. ადამიანისა და უროვნე-
ბის უუფლებობა ახასიათებს მთელს ამ ძალადობის გრძელს ეპოქს. სახელმწიფო თუ საერთაშორისო ყოველი აქტი ამ ნიშნის ქვეშ მიმ-
დინარეობს და ამ საერთო იმპერიალისტურს დაღს ატარებს. 1815
წელს ვენის კონგრესზედ შექრებილნი ევროპის დიდი იმპერიების
მესვეურნი და ხელთმპყრობელნი არავითარ ანგარიშს არ უშევენ
მცირე ეროვნებათა უფლებებს და მათ მიწა-წყალსა და მოსახლეო-
ბას იმპერიალისტურის გაუმაძლარის მაღით ინაწილებენ: ბელგიას,
მისდა დაუკითხავათ, პოლანდიას შეუერთებენ; პოლონეთს სამათ
გაანაწილებენ რუსეთის, პრუსიისა და ავსტრიის იმპერიათა შორის;
ჩეხოსლოვაკიას და უნგრეთს ავსტრიისავე იმპერიაში მოამწყვდევენ;
იტალიას ტერიტორიალურად შეამცირებენ.

მეთვრამეტე-მეცხრამეტე საუკუნეთა მიჯნაზედვე რუსეთი ვე-
რაგულათ ანხორციელებს თავის იმპერიალისტურს მიზნებს. ცეცხ-
ლითა და მახვილით მოიწევს ბალტიისა და შავი-ზღვის ნაპირებისა-
კენ. ერთი-მეორეზედ ამარტებს და იპყრობს—საქართველოს, სომ-
ხეთს, ადერბეიჯანს, მთას; ფეხს იდგამს და მაგრდება ფინლანდიასა
და ბალტიის ზღვის სანაპირო პატარა სახელმწიფოებში.

ოსმალეთის იმპერიაც, საშუალო საუკუნეოებიდან მოყოლებუ-
ლი, ცეცხლითა და მახვილით იპყრობს აზიისა და ევროპის პატარა
ერებს—სირიას, მესოპატამიას, არაბეთს, ეგვიპტეს, ბულგარეთს,
საბერძნეთს, სერბიასა და რუმინეთს. ჰემნის მუსულმანთა უზარმა-
ზარს იმპერიას შავი-ზღვისა და ხმელეთა შუა-ზღვის ნაპირებზედ. ეს
აზიური სახელმწიფო ევროპაში შემოიჭრება და ემუქრება ევროპის
ქრისტიანულ იმპერიებს. ასე ფართვაშობენ ეს დიდი იმპერიები და
ცეცხლითა და მახვილით ანადგურებენ და იპყრობენ პატარა ერებსა
და სახელმწიფოებს. უხეში ძალის მიერ დათრგუნვილია ეროვნული
თავისუფლება. აზია-ევროპის კონტინენტი პატარა ეროვნებათა საფ-
ლავს წარმოადგენს.

შეუძლებელი იყო ასეთი მდგომარეობის გაგრძელება. მართა-
ლია, ისტორიის ამა თუ იმ ეპოქის შინაარსი ხშირად ფიზიკურ ძა-
ლას უკარნახებია, მაგრამ ისტორია არასოდეს შეჩერებულა იქ, სა-
დაც ძალას წერტილი დაუსვამს. ისტორია მსოფლიოს შეუჩერებელი
წინსვლაა, რომელსაც ბუნების ჯერ კიდევ საქსებით შეუსწავლელი,
უხილავი ძალები ხელმძღვანელობენ. სამართლიანობა და ზენობა
არის ის უხილავი მორალური ძალა, რომელიც მსოფლიოს არსე-
ბობას ქვაკუთხედათ დასდებია და რომელსაც თავისის გზით მიჰყავს



ისტორია. ის ეპოქა რომელშიაც ფიზიკური ძალის მიერ დათრგული ვილია თავისუფლება, არის შეჩერების, უმოქმედობისა და უკანსვლის ხანა. თავისუფლება არის წყარო ყოველივე წინსვლისა, განვითარებისა და შემოქმედების. თავისუფლება არის ის უხილავი მოსალური ძალა, რომლის საბოლოოდ დამარცხება—ფიზიკურს ძალთა შესაძლებლობას აღემატება.

უხეში ძალის მიერ დროებით დათრგუნვილმა და დამარხულმა თავისუფლებამ გააპონ დედამიწის ზედა-პირი და ულკანისებურად აღმოხეთქა. რა არის თუ არა ეს ულკანისებური აღმოხეთქა ის დიდი მსოფლიო მოვლენა, რომელსაც საფრანგეთის რევოლუცია წარმოადგენს? საფრანგეთის რევოლუციამ თავი მოუყარა და შეაღულა ყველა ის ზენობრივი და კეთილშობილი იდეები, რომელნიც საფუძვლად უნდა დასდებოდა მის მიერ გარდაქმნილს მსოფლიოს არსებობას. ადამიანისა და ეროვნების თავისუფლება ის ორი ქვა-კუთხედია, რომლებზედაც უნდა დაეყრდნოს ამიერიდან სახელმწიფოს ცხოვრება. საფრანგეთის რევოლუციამ საქვეყნოდ აღიარა აღაშიანისა და ეროვნების სუვერენობა და მოუწოდა ყველა დამონებულ ერებს მორალისა და უფლების სახელით ამხედრებულიყვნენ და დამოუკიდებელი ეროვნული ცხოვრება გამოეჭედათ. აქ გამოითქვა საქვეყნოდ ეროვნულ-სუვერენობის იდეა. „ხალხი“ და „ერი“ ერთი და იმავე ცნების გამომთქმელნი გახდა. სახელმწიფოს საფუძვლად ერთ-ეროვნება დაედო. ამგვარად წარმოიშვა გამოქნილი იდეა პიროვნების თავისუფლებაზე დამყარებული ეროვნული სახელმწიფოისა. საფრანგეთის რევოლუცია აშეარა რეაქციაა ინტერნაციონალური კლასიციზმის წინააღმდეგ მთელის სიძლიერით მიმართული. კლასიციზმის ანტიპოდი რომანტიზმი პირმშო შვილია ამ დიდი რევოლუციისა. მიუხედავათ იმისა, რომ ხშირად საფრანგეთის რევოლუციის მეთაურთა გონებას იმპერიალისტური იდეები ხიბლავდა, ამ დიდი რევოლუციით დაიწყო ახალი ხანა, რომელიც ეროვნულ თავისუფლებისათვის ბრძოლის დროშის ქვეშ მიმდინარეობს საბოლოო გამარჯვებამდე. საფრანგეთის რევოლუციის მიერ წარმოშობილმა ეროვნულმა იდეებმა მძლავრათ შეარყია ეკრობა და სორელის სიტყვებით რომა ესთქვათ „ძირიანათ და არსებითად ნაციონალურშა ევროპამ შესცვალა მეთვრამეტე საუკუნის კოსმოპოლიტური ევროპა“.

1852 წლიდან ნაპალეონ III-ის თაოსნობით დიდი რევოლუციის მიერ წარმოშობილი ეროვნული იდეები პრაქტიკული პოლიტიკის საგნად ხდებიან. ამის ნიშნები მრავალია: იტალიის დიდი ეროვნული მოძრაობა გარიბაღლდის მეთაურობით იტალიის ტომთა გაერთიანებით მთავრდება; გერმანელ ტომთა ეროვნული მოძრაობა ბისმარკის მეთაურობით გერმანულ ტომების გაერთიანებით. ბელგია გამო-



ეყოფა ჰოლანდიას და დამოუკიდებელ ეროვნულ სახელმწიფოს შექმნის. ავსტრიის იმპერიაში ვენის კონგრესის მიერ ძალად ჩატედილ — უნგრელებსა და ჩეხო-სლოვაკებში ეროვნული მოძრაობა იწყება; უნგრეთი ავტონომიურ მართველობას მოიპოვებს. დიდი ბრიტანეთის კუნძულებსაც ეხეთქება თავისუფლების ტალღა: ეროვნული მოძრაობა იწყება ირლანდიელთა და შოტლანდიელებში, და საქმე იმდენად მწავდება, რომ გლადსტონი წინადადებით შედის პარლამენტში, რათა კონსტიტუციური უფლებები მიანიჭონ ირლანდიასა და შოტლანდიას.

თავისუფლების ქარი გადაუარს აღმოსავლეთ ევროპის დამონებულს ერებს. ოტომანთა იმპერიას ხმელთა შუაზღვისა და ფაზისის აბობოქრებული ტალღები ეხეთქებიან. საბერძნენო ჯერ კიდევ 1829 წ. აღწევს თავს სმალეთის მონიბას; ამავე წელსვე აღრიანობლის შეთანხმებით თავისუფლდება ოტომანთა იმპერიისაგან რუმინეთიც; ოტომანთა იმპერიისაღმი 5 გრძელი საუკუნის მონიბისაგან 1877 წელს ოდნავ თავისუფლდება ბულგარეთი, რომელიც დიდის ბრძოლით მხოლოდ 1907 წ. აღიღენს დამოუკიდებლობას. სერბიაც თავდადებული იბრძვის ათეული წლების განმავლობაში ოტომანთა იმპერიისაგან თავის დასაღწევად. ეს ერიც თავისუფლდება.

ამგვარად, ერთა თავისუფლების საკითხი გზას იყაფავს. დამონებული ერებიდან, ზოგი სამხედრო ხასიათის ბრძოლებს აწარმოებს, ზოგიც ეროვნული ფარული ორგანიზაციების შექმნისა და საბოლოო ბრძოლისათვის მზადების ხანაშია. ჩაგრულ ერთა მიერ თავისუფლებისათვის ბრძოლით გათენდა და დაღამდა მეცხრამეტე საუკუნე. მრავალი ერი კულავ მონიბაში იხილა მეოცე საუკუნის პირველი დღის ამომავალმა მზემ. იყო ნიშნები იმისა, რომ მეოცე საუკ. ლირსეული მემკვიდრე უნდა გამხდარიყო ახლად გარდასული საუკუნისა. დიდ იმპერიათა შორის არსებული ინტერესთა წინააღმდეგობანი საქართველოს მდგომარეობის გართულების შესაძლებლობასა ჰქმნიდა. ყოველი ჩაგრული ერი ცდილობდა მზად შეხვედროდა მოსალონერელ მოვლენებს და თავისი ინტერესებისათვის გამოეყენებინა. მოთმინება და იმედი იყო მათი საგზალი.

1924 წელს აღმოსავლეთ ევროპაში გავარდნილმა ტყვიამ ცეცხლის ალში გახვია ევროპისა და აზიის კონტინენტი. ადამიანთა მილიონები იმსხვერპლა ამ დიდმა საერთაშორისო ომმა. მსხვერპლი დიდია მაგრამ ფასდაუდებელია ის მორალური ლირებულება, რომლითაც ეს მსხვერპლი დაფასდა: დიდი ომი მოკავშირეთა გამარჯვებით დამთავრდა. პიროვნებისა და ეროვნების თავისუფლების სამშობლოს საფრანგეთის გულში ვერსალში 1918 წ. დაიდო ის ხელშეკრულება, რომელმაც ეროვნებათა ათეულები გაანთავისუფლა დიდ იმპერიათა მონიბისაგან: ავსტრიის იმპერიის დანაწილებისაგან წარმოიშვა

და ეროვნული ცხოვრების მოწესრიგებას შეუდგა ჩეხო - სლოვაკია, უნგრეთი და დღევანდელი იუგოსლავის დიდი ნაწილი: სამ დღიდ იმპერიათა შორის განაწილებული პოლონეთი გაერთიანდა და დამოუკიდებელი სახელმწიფო შექმნა: საოტომანო იმპერიის მონაბისაგან განათავისუფლეს სირია, მესოპოტამია, და იქ მობინადრე ერებმა და ტომებმა თავისუფალი ცხოვრება იწყეს. რუსეთის იმპერია რევოლუციამ მოიცო. იგი ბუნებრივათ გამოსხლტდა მოკავშირეთა რიგებიდან. მას გამოეცალნენ და თავისუფალნი ეროვნული სახელმწიფოს მოწყობას შეუდგნენ: ფინლიანდია, საქართველო, ადერბეიჯანი, სომხეთი, მთა, ლიტვა, ლატვია, ესტონეთი. რუსეთში მომწყვდეული კიდევ მრავალი ერი გამოეყოფოდა დანგრეულს იმპერიას, რომ კულავ უხეშ ძალას არ შეტერებინა ისტორია ეროვნული თავისუფლების გზით მიმართული. წითელ ქურქში გახვეული ველიკორუსული-იმპერიალისტური შავი სული კულავ დაეპატრონა რუსეთს და სისხლში ჩაახრჩო ახლად განთავისუფლებული კავკასიის ერების თავისუფლება. ოორმეტი წელიწადია უსწორ ბრძოლას აწარმოებს ქართველი ერი და კავკასიის სხვა ერები. ბრძოლის პირობები დღითი-დღურთულდება. მსოფლიო კალაპოტიდან ამოვარდა. არავინ იცის რა გზითა და როგორ გადაწყვდება ის დიდი საკითხები, რომლებთანაც ძალაუნებურად დაკავშირებულია ქართველი ერის თავისუფლების საკითხი. ევროპა-აზიისა და ამერიკის დიდი სახელმწიფოები მიუხედავათ მათ შორის არსებულს წინააღმდეგობათა, ერთში მაინც შეთანხმებულნი არიან: რუსეთის ამ სიღიძით არსებობა მათთვის მიუღებელია, ეს ეწინააღმდეგება მათ ინტერესებს. წონასწორობის საკითხი დიდ როლს თამაშობს სახელმწიფოთა და ტერიტორიათა გადაჯგუფების საკითხში.

თავისუფლების იდეის ნიშნის ქვეშ გავლილმა მეცხრამეტე საუკუნემ და ამავე ნიშნის ქვეშ დაწყებულმა მეოცე საუკუნემ ორი დღიდი იმპერია მოინელა: ავსტრია და ოსმალეთი. რუსეთის იმპერია მეოცე საუკუნის ხვედრია. მის განთიაღზედ დაიწყო რუსეთის დაშლა და მისი უკანასკნელი დღის მზე ისე არ ჩავა, რომ რუსეთის მიერ დამონებულ ერებს თავისუფლება არ უანდერძოს.

ამ გზით მიიმართების ისტორია. თავისუფლებისათვის მებრძოლს ქართველს ერს გვმართებს მოთმინების, სულიერ სიმხნეებისა და გონიერების დიდი საგზალი, მკლავი ძლიერი და მუხლი მაგარი, რომ ისტორიას „აღთქმულ ქვეყანამდე მივყვეთ“

ულ. პატარიძე.


ს ა ხ ი ფ ა თ ო გ ზ ა

1917 წელს, 18 ნოემბერს, საქართველოს ეროვნულმა ყრილობამ გადასწყვიტა „ბედი ქართლისა“ და მოუწოდა ქართვლ ხალხს თავისუფალ ცხოვრების აღდგენსაკენ.

ამ ისტორიული ყრილობის სულის ჩამდგმელი, თავიდანვე, ქართველი თავად-აზნაურობა იყო.

საქართველოს განთავისუფლებისათვის მოუწოდებელი პირველი და ძლიერი სიტყვა ამ კრებაზე მისმა წარმომადგენელმა წარმოსთქვა. ამ სიტყვასთან შეფარდებული პირველი და დიდი საქმეც — მათი იყო. ამ დღეს საქართველოს თავად-აზნაურობამ გადასცა ქართველ ხალხს მოელი თავისი, მრავალ მილიონებათ ღირებული, საზოგადოებრივი ქონება და ამით ჩაუყარა მაგარი საძირკველი ეროვნულ ყრილობის მიერ არჩეულ პირველ ქართულ მთავრობას — საქართველოს ეროვნულ საბჭოს. და ეს არც იყო გასაკვირველი, რადგან ქართველ თავადთა და აზნაურთა მთელი წარსული ცხოვრება მუდამ მჭიდროთ გადაწნული ყოფილა ქართველი ერის მთელს ისტორიასთან. ეს ისტორია გვიმოწმებს, რომ მრავალ საუკუნეთა მანძილზე ქართველი თავად — აზნაურობა, საქართველოს საბინადროს დაცვაში მუდამ, ქართველ ხალხის წინა რიგებში იბრძოდა და პირველი ეწირებოდა სამშობლოს. დამარცხების დროს იგივე პირველი მსხვერპლი ხდებოდა გამარჯვებული მტრისა, რომელიც მას ანგრევდა და უმოწყალოდ მუსსს ავლებდა. უკანასკნელ შემოსევის დროს სპარსეთის შამბა ალა-მამად-ხანმა არ დასტოვა თბილისში გადაუწვივი არც ერთი სახლი ქართველი თავადისა. მაშინდელ ქართველების ჭირი და ლხინი — ერთი იყო და ამიტომ ქართველი ხალხი თავის მოწინავე წრეს უყურებდა როგორც თავის მფარველს, გამგეს და პატრონს. ამ წრეს და ხალხის შორის მამა-შვილური დამოკიდებულება სუფევდა. „პატრონ — ყრმისა“ ე. ი. პატრონობა ყრმისა (როგორც სუსტისა) ამ დამოკიდებულებას მტკიცე საფუძვლად ედო. ამაზედ აშენდა ქველი ქართული კანონმდებლობაც.

ქართულმა ისტორიამ არ იცის არც ერთი შემთხვევა ეგრედ წოდებული „გლეხთა აჯანყებისა“, თავის მოწინავე ხალხის წინააღმდეგ, რომლითაც ასე მდიდარია ფეოდალურ ხანის ევროპის ქვეყნები და რუსეთის ახალი ისტორია. ამისათვის ჩვენს ქვეყანაში არ იყო პსიხოლოგიური მიზეზები, და არც ეკონომიური, რადგან უდიდესი ნაწილი საქართველოს მიწა-წყლისა (ტყეები, საძოვრები და სხვა) დაუყოფელი, მთელს ერს ეკუთვნოდა და ყველა მცხოვრები თავისუფლად სარგებლობდა მისი ნაყოფით. მაგრამ უამთა მსვლელობაში ქართველი ხალხის ახალმა მებატონებმ, რუსეთმა, შემოტანილ კანონებით საგრძნობლად აგვირია — დაგვირია ქართვე-



ლური, შინაური დამოკიდებულება და დაგვიზიანა დალაგებული ძველი საურთო-ერთო განწყობილება.

ჯერ თავად - აზნაურობა გამოჰყო ხალხს და ცალკე წოდებრივ ორგანიზაციაში მოაქცია. საერთო მიწა - წყალი ერს ჩამოართვა. ნაწილი თვითონ მიისაკუთრა (სახელმწიფოსათვის), ნაწილი - კი დაურიგა თავად - აზნაურებს, განსაკუთრებით თავის მომხრე - მორჩილებს. კეთილშობილური ძველი ქართული „პატრონ - ყმობის“ ადათი — ველურ რუსულ „ბატონ - ყმობად გადააქცია. ასე და ამ გვარად რუსული ხელი სცდილობდა ქართველი ხალხის სიღრმიდან აღმოეფხერა მისი გამაერთიანებელი ყველა ძირკვები.

მაგრამ ამ ახალ რუსულ პირობებშიც, ქართველ თავად - აზნაურობის საუკეთესო ნაწილმა, მანც არ ულალატა ძველ ქართულ გზას. მალე, ის თავად - აზნაურული წოდებრივი დაწესებულებანი, რომელნიც რუსული კანონების ძალით საქართველოში დაწესდნენ, საერთ საქმეების გასაძლოლ ორგანიზაციებად გადაიქცნენ. ეს უკანასკნელნი ამ გზაზედ დააყენა ქართველ თავად - აზნაურობის გამოჩენილმა პირველმა წინამძღვრლმა დიმიტრი ყიფიანმა.

„ქართველი თავად - აზნაურობა მსახურია თავის ერისაო“; და ამის მაგალითიც უჩვენა: თავი გასწირა ქართველი ერის ღირსების დაცვისათვის.

მეორე დიდმა ქართველმა ილია ჭავჭავაძემ, მთელი თავისი ნიჭი, უნარი და ბრძოლა მოახმარა, საქართველოში, რუსულ ბატონ-ყმობის ნაშთების მოსპობას. და ბოლოს თავისი დიდი სიცოცხლე მშობელ ერის სამსახურის სადარაჯოს შეალია.

ქართველ თავად - აზნაურობის უკანასკნელმა წინამძღვრლმა კონსტანტინე აფხაზმა ქართველ ხალხის დამოუკიდებელ სახელმწიფოს აღდგენისათვის თავი დასდო.

ქართველ თავად - აზნაურობის მოთავეთა ამ ბრწყინვალე, სამაგალითო დვაწლითა, ბრძოლითა და გმირულ სიკვდილით დაიმსხვრა ხალხის და მის ძველ მოწინავე წრების შორის აღმართული რუსული ჯებირები. გაპტრა წოდებრივი გათიშვა-გამოთიშვა და ქართველი თავად - აზნაურობა დაუბრუნდა თავის ხალხს, როგორც თანასწორი - თანასწორსა. აღმოხეთქილმა ქართველმა ეროვნულმა ნიაღვარმა საქართველოში წალეკა საბოლოოთ სამეფო რუსეთის ძველი ნაშთები და მათ შორის რუსული „წოდებრივობაც“.

თანამედროვე ქართველობას ძვირად დაუჯდა ეს „წოდებრივობის“ ხანა.

ნაძალადევათ მოშორებული თავის ისტორიულ ტრადიციებს,

დაყოფილი თავის წიაღში, ქართველი ხალხი ახლო მომავალში რუსულ რევოლუციის სტიქიის უნებური მსხვერპლი ხდება. ქართული სოციალისტური პარტიები, წამოგებულნი ამ რუსულ ანკესზე, რუსების მიერ გათხრილ ამ ქართულ ნაპრალზე, გულ-უპრყვილოდ აშენებენ თავის ახალ სოციალურ-პოლიტიკურ გეგმებს; ჰავრამ მალე თვითონ შიგ ვარდებიან და ერთს თვეისუფლებასაც თან იყოლებენ. ახლა რუსეთის უკანასკნელი ნაცოხნი—ბოლშევიზმი, სცდილობს ახალის გზებითა და წესებითა ქართველი ხალხი კვლავ დაგვიყოს და დაგიჭუცმულოს. მაგრამ ამაო იქნება ეს ცდება. ტანჯული ქართველი ხალხი ახლა კი მიხვდა თავის მტარვლის მზავრულ განზრახვებს... რუსულ „წოდებრივ“ და „კლასბრძოვ“ დაყოფვის პოლიტიკას ის დღეს ერთსულობენად უპასუხებს თავის ეროვნულ და სოციალური მთლიანობით—იმ ერთად - ერთ მჭრელ იარაღით, რომლის საშვალებით, მხოლოდ, შეუძლიან პატარა ერს თავი დაახ-წიოს დიდი ქვეყნის ძალადობას და ბატონობას.

გამახსენდა ყველა ეს, როცა გავიგე, რომ ქართველ ეროვნულ ემიგრაციის ცენტრში—პარიზში, რამდენიმე ქართველს. ჩამომავლობით თავადს და აზნაურს, განუზრახავსთ „ქართველ თავად-აზნაურობის კავშირის“ დაარსება. შეუდგენიათ წესდება და საფრანგეთის მთავრობისათვის დასამტკიცებლად დაუშადებიათ.

ალბათ ეს ქართველები ძალიან ნაკლებად არიან გაცნობილნი ქართველ თავად - აზნაურობის შორეულს და მახლობელ წარსულსა, მის ტრადიციებსა, რომ მოუსურვევბიათ რუსულ წოდებრივ და წესებულების ქართველების ხელით, საზღვარ - გარედ გამოცოცლება. არ იციან რომ 1917 წელს ნოემბერში, ქართველ თავად - აზნაურობამ, თავისივე ნებაყოფლობით, გააუქმა რუსეთის იურის-დიქტატე აგებული თავად - აზნაურული წოდებრივი ორგანიზაციები საქართველოში და დაბრუნა მისი წრეები ქართველ ხალხის საერთო სამოქალაქო რეგებში.

მაგრამ თუ ეს ყველაფერი იციან, მაშინ ვინ მისცა უფლება ანონიმურ კერძო ჯგუფს ქართველ თავად - აზნაურობის სახელით წოდებრივ კავშირის მოწყობისა? მით უმეტეს, რომ მას არა აქვს არავითარი გამართლება: არც პოლიტიკური, და არც ზეობრივი.

დღეს არც ერთ ქვეყანაში, მათ შორის იქაც, სადაც მემარჯვენე მართველობა ბატონობს (გერმანია, იტალია, პოლონეთი და სხ.), არ არის თავად - აზნაურობა ერისაგან ცალკე წოდებად ან ორგანიზაციად გამოყოფილი... გარდა „დვორიანსკი სოიუზობა“ აბნეულ რუსულ ემიგრაციაში პარიზში? რუსეთისადმი მავნე სხვა და სხვა წაბაძეამ განა საკმაოდ არ დააზიანა ჩვენი ერი დღემდის, რომ




კიდევ ხელახლად, ჩვენივე ხელით, ქართველ ხალხში დამყარებულ ეროვნულ მთლიანობას—წერვა და გლეჯა დაუწყოთ და ქართველ თავად - აზნაურობის მისგან „გამოყოფას“ ვემსახუროთ? ეს ხომ სრული პოლიტიკური სიტუაცია. ან სად არის ამისი ზნეობრივი გამართლება? განა მის ინიციატორებს არა აქვთ წარმოდგენა იმაზე, თუ რა პირობებშია ჩავარდნილი სამშობლოში ყოფილი თავად-აზნაურობა, რომელიც ტიტველნი, შიშველნი, მშიერნი და მოსკოვისაგან მუდამ დევნილნი, თავის გვარებს იცვლიან და სოფლის ორლობეებით დადიან? ან და ნუ თუ არ გაუგიათ, რომ ჩვენი კეთილშობილი ქართველი ხალხი, თავის უკანასკნელ ღარიბ სარჩეს ძმურად უყოფს მრავალ ათას სიკვდილის პირომდე მისულ ქართველ თავად - აზნაურებს? ამ საბრალოებს ეს ღა აკლდათ, რომ თავისუფალ ევროპის ქვეყნიდან, თავისუფალმა ქართველობამ პურის მაგიერ „დორორიანსკი სიოუზის“ პროკლამაციები უგზავნოს და მით მის მშველელ გლეხობას დაუპირდაპიროს! მოსკოვის გაუმაძლარ ჯალათებსაც ეს ღა უნდათ!.. უგონო და ცუდ საქმეს არ უშველის არავითარი კაი წესდება და მთავარი სიცუდე კა ის არის, რომ ამ „კავშირის“ ავტორებს სჩანს არ გაუთვალისწინებიათ მათ მიერ დაწყებული საქმის შედეგები საქართველოსა და ემიგრაციისათვის და თავის პირად ზრახვებსა და გრძნობებს აპყოლიან.

საქართველოს ქართველ თავად - აზნაურობის, სწორედ, დიდი ღირსება და ღირებულება იმაში მდგომარეობდა, რომ მისი საზოგადოებრივი მიზნები მუდამ შორს იღვნენ ყოველგვარ პირადულ ზრახვებისა და სარგებლობისაგან... ძველი დროიდან ყოველი კეთილშობილი ქართველი ადამიანი იმასა სცდილობდა, რომ თავისი გვარიშვილობა მამულიშვილურ საქმითა დაემტკიცებინა. მას მუდამ წინ უძლოდა შოთა რუსთაველის მკვეთრი ნათქვამი:

„ათასად გვარი დაფასდა,
ათი ათასად ზრდილობა,
თუ კაცი თითონ არ ვარგა,
ცუდია გვარიშვილობა“.

მართლადაც სად გაგონილა, მით უფრო ჩვენს დროში, რომ კაი კაცობა, მამა - პაპურ კაი გვერიშვილობის ფირმით მტკიცებილებილებს... თუ ამ „გვარიშვილურ“ ქართველ ჯგუფს სწყურია მოქმედება და ქეყნისათვის სარგებლობის მოტანა, ნუ ეფარება მისათვის მიუწდომელ და დიდ საერთო სახელსა... თავისი კაი გვარიშვილობა თავისავე გვარიან საქმიანობით გაიტანოს... ამას ვერავინ დაუშლის მათ, თუ ამის წყურვილი აქვთ, ხოლო რაც მათ დაუწყიათ, ეს მხოლოდ მავნეა და საზიანო და ასეთი მუშაობა შეჩერებული უნდა იქმნას.

დ. ვაჩნაძე.



ალექსი გლივის დაზორინება

22 ივნისს პარიზში გადახდილ იქმნა იშვიათის ზემოთ ჩვენი თანამემამულის ალექსი მდივნის ბარბარა ჰატენთან დაქორწინება. ალექსი მდივანი უმცროსი კაფია განსვენეული გენერალ ზაქარია მდივნის, რომელიც წინეთ საქართველოს სამხედრო მინისტრის მოადგილის და სხ. მაღალ თანამდებობებს ასრულებდა. ხოლო ბარბარა ჰატენი გახლავთ ფრიად მშვენიერი ამერიკელი ასული. ამასთანავე ბარბარა ჰატენი სიმდიდრითაც ისევე უხვად არის დაჯილდოვებული, როგორც სილამაზით. ეს ახალგაზრდა ქალი უმდიდრეს საპატარძლოთ ითვლებოდა უმდიდრეს ამერიკაში. გასაგებია, რომ იმის ხელის მაძიებელთა რიცხვი მცირე არ იქნებოდა და მართლაც ასეთების რაოდენობა ძალზე მრავალი იყო მსოფლიოს ყველა კუთხის წარჩინებულ წრეებში. ამით აიხსნება, რომ ამ ამბავზე ძლიერ ბევრი იწერება.



ბოდა ევროპის და ამერიკის პრესსაში. ადვილი არ იყო ჩვენი თანამემამულის მდგომარეობა ასეთი კოლოცის პირის-პირ. მაგრამ მას არა მარტო გრძნობები და გატაცება აღმოჩნდა ძლიერი, არამედ ნებისყოფა და მხნეობაც და ეს ბრძოლა რამოფენიმე წელიწადი გრძელდებოდა და ის კიდევ დიდ ხანს გასტანდა, რომ არ მომხდარიყო იმის მსგავსი, რაც მსოფლიო ომის დროს მოხდა. მაშინ ამერიკის ომში ჩარევამ გადასწყვიტა მსოფლიო ომის ბედი და ეხლაც ამერიკელი ასულის მიერ ნეიტრალიტეტის დარღვევამ და ახდილად ქართველის მხარეზე გამოსვლამ დასრულება მისცა ამ ახალ მსოფლიო გართულებას.

სიყვარულის ვამარჯვება კარგი რამ ამბავია საზოგადოთ, მაგრამ



ამის გარდა ასეთი ოჯახის შემატებას თვით დიდი და ძლიერი ერებიც მიიჩნევდენ სასურველად და სასარგებლოდ. უნდა ვიქონიოთ იმედი, რომ ეს ახალი ქართული ოჯახი შემატებს ჩვენს ეროვნულს ოჯახს ახალს ძალას და ახალს სიმაგრეს.

ქართველთა კოლონიაზი

26 მაისი. საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების მეცამეტე წლის თავზედ პარიზის ქართველთა კოლონიის გამგეობამ გამართა სადღესასწაულო საღამო, რომელსაც დიდალი ქართველობა და მოწვეული უცხოელები და კავკასიელები დაესწრნენ. საღამო გაიხსნა ეროვნული ჰიმნით, რის შემდეგ კოლონიის თავმჯდომარემ ბ. გიორგი უურულმა გონიერი და მგრძნობიარე სიტყვით მიმართა, ფრანგულსა და ქართულს ენაზე, დამსწრე საზოგადოებას: ბ. უურულის სიტყვა იყო გამამხნევებელი და იმედიანი.

შემდეგ მოკლე მოხსენება გააკეთა ფრანგულს ენაზედ საქართველოსა და კავკასიის შესახებ ბ. მ. მუსხელიშვილმა. სიტყვა წარმოსოქვა 26 მაისის შესახებ გამგეობის წევრმა ბ. ბიქ. ნოზაძემ. ამით დასრულდა საღამოს პირველი ნაწილი. საღამოს მეორე ნაწილი ვაიხსნა ახალგაზრდა პოეტი ყითიანის ლექსებით, რომელიც მხურვალე ტაშით დააჯილდოვა საზოგადოებამ. რამოდენიმე ქართული სიმღერა ჩინებულათ შეასრულა მომღერალმა ბ-მა ნანობაშეილმა, რომელიც მხურვალე ტაშით იქმნა დაჯილდოვებული.

შემდეგ გაიმართა ქართული ცეკვა-თამაში, რომელსაც მოჰყვა ევროპიული ცეკვა.

საზოგადოება დიდათ ნასიამოვნები დაშალა შუაღამისას.

ბ. გ. უურულის სიტყვა წარმოთქმული 26 მაისის დღესასწაულზე.
ძვირფასნო თანამემამულენო !

მოგილოცავთ 26 მაისის ბრწყინვალე დღეს,—სიმბოლოს საქართველოს ათასწლოვანი ისტორიის არსისას. ქართველი ერის თავისუფალი ბუნების, მისი დამოუკიდებლობისადმი მისწრაფების გამომხატველს.

თქვენთან ერთად ამ საზეიმო თარიღს ვულოცავთ ჩვენს მშობელ ერსა და ესოდენ დატანჯულ ჩვენს სამშობლოს ! ამაყს და მარად მოუღრეკელ ქართველ ერს და კვლავ მთლიანს, მონობაშიც სულიერად თავისუფალ საქართველოს: შეუბოვარს თვით უსაშინელეს განცდების წლებში, ერთიანს და ერთსულოვანს მიუხედავათ მტრისაგან ხმარებულ ზომებისა, მის დასაშლელად და დასამხობათ. სწორედ დიდე-

ბული სანახაობა იშლება ჩვენსა და, თუ დანახვაა, მთლად კაცობრი-
გობის წინაშე, იმ შეუნერებელი ბრძოლის ხილვით, ომელსაც გა-
მუდმებით აწარმოებს პატარა საქართველო, უხეში ძალის მატარებ-
ლის, თიხის ფეხებზე შემდგარ გოლიათის, ჩვენი ქვეყნის დამპყრო-
ბლის დასაცემად და გასაძევებლად.

ჩვენ ქართველებმა ვიციო, რომ ეს ბრძოლა მტრის სამარცხვინო
დამარცხებით დასრულდება და საქართველო კვლავ მოიპოვებს და-
კარგულ დამოუკიდებლობას!

ასე მოხდება, რადგან ჩვენი ერის ბრძოლა უცხოელ უღლის გა-
დასაგდებათ, არის სამკვიდრო-სასიცოცხლო შეტაკება დიად მორა-
ლის, —ქვემდრომ უზნეობასთან, თავისუფლების ბრწყინვალე იდეა-
ლის, კაცთა მოძულე არარაობასთან...

ქართველნო ლტოლვილნო! სასოებით გადავავლოთ, ამ სიშო-
რიდან, თვალნი ჩვენს ამღზრდელს ერს; მისი მაგალითით გავძლიერ-
დეთ სულით და ავმაღლდეთ ზნეობით! გულდადებით მოვიმინოთ
მისი რჩევა-დარიგებანი ჩვენდამი მომართულნი.

ჩვენ ამა თუ იმ რეჟიმისათვის კი არ ვიბრძივითო, ყველას ვასაგო-
ნათ განაცხადეს ჩვენმა გმირებმა, ამას მეორე ხარისხოვანი მნიშვნე-
ლობა აქვსო, არამედ ვებრძივით უცხოელ მტერს, რომელმაც საქართ-
ველის ვერაგულათ წაართვა დამოუკიდებლობაო. ეს ხმა საქართვე-
ლოსი ყველას გვავალებს: დავივიწყოთ ჩვენცა ის რაც მეორე ხარის-
ხოვანია და გაერთიანებულის ძალებით, ჯგუფური დანაწილების, აშ
ხანათ, უკუგდებით, დაერაზმდეთი და შევერთდეთ იმ დიდებულ
ღლის მოლლოდინში, როდესაც ჩვენი სამშობლო მოგვიწოდებს და
მოითხოვს ჩვენგან იქ მსხვერპლის შეწირვას, საქართველოს დამოუკი-
დებლობის აღსაღენათ!

გაუმარჯოს ქართველთ ერთობას !

გაუმარჯოს განთავისუფლებულ და დამოუკიდებელ საქართ-
ველოს

კარლო ჩხეიძის საფლავზედ. ივნისის 18-ს, ქართველთა კოლო-
ნის გამგეობამ დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის კ. ჩხეიძის
გარდაცვალების წლისთავის აღსანიშნავად გამართა სამოქალაქო
პანაშვიდი. მიუხედავად ავი ამინდისა, პანაშვიდის მრავალი ქართვე-
ლობა დაესწრო. მგრძნობიარე სიტყვა წარმოსთქვა დამფუძნებელი
კრების წევრმა ბ. ვლ. მგელაძემ.

ეროვნული გმირის საფლავზედ. კვირას ივნისის 26-ს, ქართ-
ველთა კოლონის გამგეობის თაოსნობით გადახდილ იქმნა ეროვნუ-
ლი გმირის ქაქუცა ჩოლოყაშვილის საფლავზედ საეკლესიო პანა-
შვიდი, მისი გარდაცვალების ღლის აღსანიშნავად. სიტყვა წარმო-
სთქვა ბ. ფრ. წულუკიძემ. პანაშვიდის ხალხი მრავალად დაესწრო.

დ. ხელაძისა და ამხანაგობის სტამბა. ამა წლის მაისის 30-ს მოხდა ფრანგულ-კავკასიური სტამბის ოფიციალური გახსნა. დაესწრენ საქართველოს მთავრობის, პოლიტიკური პარტიებისა და კავკასიის დანარჩენ ერთა პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლები. სიტყვები წარმოსთქვეს: მთავრობის თავმჯდომარებ ბ. ნ. უორდანიამ. ბბ. ხატისოვმა, დ. ვაჩანაძემ, კოსენკომ და სხ. სტამბა მოთავსებულია ფრიად ვრცელ შენობაში (50, rue Faubourg de Temple), აქვს თანამედროვე ტეხნიკური მანქანები; ასოები ფრანგული, ქართული, სომხური, რუსული და სხ. განზრახულია ამ სტამბაში თავის მოყრა ქართული და კავკასიური ყველა გამოცემების. ბ. დავით ხელაძეს ემიგრაციაში არა ერთი კულტურული საქმე გაუკეთებია. ჩვენ უსურვბთ მის ახლად წამოწყებულ საქმეს წინსვლასა და წარჩინებას.

ერთა ლიგისათვის საერთაშორისო კავშირის ქართული საზოგადოება. შესდგა ერთა ლიგისათვის საერთაშორისო კავშირის ქართული საზოგადოება, რომლის თევმჯდომარეთ არჩეულ იქნა საგარეო საქმეთა მინისტრი ბ. ევგენი გეგეჭიორი; გამგეობის წევრებად დამფუძნებელი კრების წევრნი: ბბ. გ. გვაზავა, ალ. ასათიანი, ი. გომეგია და ბ. ხ. შავიშვილი.

ეს ქართული საზოგადოება შედის საერთაშორისო კავშირში, რომელშიაც თავს იყრიან ერთა ლიგაში შემავალი ყველა სახელმწიფოს პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწენი. საერთაშორისო კავშირი მართავს სისტემატიკურად კონგრესებს, რომელზედაც საქართველოს წარმომადგენლები მონაწილეობას ღაბულობენ თანასწორის უფლებით. აქედან ცხადია ამ საზოგადოების მნიშვნელობა საქართველოსათვის.

ბ. გვაზავას მოხსენება. ამ საზოგადოების პირველ სხდომაზედ, რომელიც თავმჯდომარის ბ. ევ. გეგეჭიორის სიტყვით გაიხსნა ბ. გ. გვაზავამ, წაიკითხა მოხსენება: „საქართველო და ერთა ლიგა“. მოხსენების შემდეგ გამართულ აზრთა გაზიარებაში მონაწილეობა მიიღეს ბბ. თ. დადიანმა, ალ. ასათიანმა, დ. ვაჩანაძემ, გ. კერესელიძემ, ელ. პატარიძემ, კ. ქაგთარაძემ და მანველიშვილმა.

ბ. კ. გვარჯალაძის მოხსენება. ერთა ლიგისათვის ქართული საზოგადოების კრებაზედ ივნისის 11-ს, ბ. კ. გვარჯალაძემ წაიკითხა მოხსენება: „საქართველოს საკითხი, ერთა ლიგა და ინტერნაციონალი“. მოხსენების შემდეგ გამართულ აზრთა გაზიარებაში მონაწილეობა მიიღეს: ბბ. რ. გაბაშვილმა, ალ. ასათიანმა, გ. კერესელიძემ, შ. ამირეჯიბმა, დ. ვაჩანაძემ, ვ. მაჩაბელმა, პ. სარჯველაძემ და სხ. აზრის გამოთქმის მსურველთა სიმრავლისა და უდროობის გამო, კრების გაგრძელება გადაიდო ივლისის 2-სათვის.

2 ივლისის კრებაზედ კამათში მონაწილეობა მიიღეს ბბ. გ. კერესელიძემ, რ. გაბაშვილმა, შ. ამირეჯიბმა, ი. ცინცაძემ, პ. ინწკირ-

ველმა, ევ-გეგენჟორმა, ელ. პატარიძემ და ს. მენალარიშვილმა. დაბოლოს საპასუხო სიტყვა წარმოსთქვა მომხსენებელმა ბ. გვარჯალაძემ.

ქართველ ყოფილ მეომართა კავშირი. საზოგადოაბას უკვე მოეხსენება საფრანგეთში მყოფ ქართველ ყოფილ მეომართა კავშირის დაარსების შესახებ. კავშირის გამგეობას თავმჯდომარეობს კოლონიული ცხაკაია; გამგეობის წევრებია: მაიორი ანანიაშვილი, მაიორი ზალდასტანიშვილი, მაიორი კვიტაშვილი, ლეიტენანტი მ. დადიანი, და ყოფილი იუნკერი შ. ნიკოლაძე. სარევიზიო კომისიის წევრებია: მაიორი ფრ. წულუკიძე, ექიმი კ. ხოჭოლავა და ლეიტენანტი ს. გოგიძერიძე. კავშირში ირიცხება 61 ყოფილი მეომარი. კავშირის წესდება დამტკიცებულ იქმნა საფრანგეთის მთავრობის მიერ.

კავშირი მიღებულ იქმნა საფრანგეთის ყოფილ მეომართა ეროვნულ კავშირში (Fédération Nationale des Associations de Mutilés, Victimes de Guerre et d'Anciens Combattants).

18 ივნისის კრებაზედ კავშირის წევრებს დაურიგეს საწევრო ბარათები— Carte de Combattant.

საფრანგეთის ყოფილ მეომართა მე-16-ე კონგრესი. ივლისის 8 და 10 Salins les Bains-ში (შეეიცარის საზღვარზე) შესდგა ფრანგ ყოფილ მეომართა ეროვნული გაერთიანებული კავშირის მე-16-ე კონგრესი. ქართველ მხედართა კავშირმა მიიღო კონგრეს-ზედ მიწვევის ბარათი. კავშირის გამგეობამ კონგრესზედ გაგზავნა ბ. ილ. დადეშველიანი, რომელმაც კონგრესზედ წარადგინა და დამსწრეთა შორის დაარიგა მემორანდუმი, რომელშიაც აღნიშნული იყო ქართველი ერის დღესანდელი მდგომარეობა, მისი ბრძოლა თავისუფლებისათვის და მოწოდება მორალური დახმარებისათვის. კონგრეს-ზედ დამსწრენი დიდის ყურადღებითა და სიმპატიით შეხვდნენ ამ მემორანდიუმს. კონგრესზედ წარდგენილ იქმნა ქართული დროშა.

სოჭოს ჩართველთა ასოციაცია

26 მაისის დღესასწაული სოჭოში.

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დღე—26 მაისი წელს არაჩვეულებრივი ზეიმით იქმნა გადახდილი სოჭოს ქართველთა ასოციაციის მიერ. ამ დღესასწაულს შეუკვეშირდა ჩვენს საკუთარს მიწაზე ახლად აშენებული სახლის გახსნის დღეც. ამდენსანს ჩვენს ასოციაციას არ მოეპოვებოდა შესაფერისი შენობა—სასადილოსა, ბიბლიოთეკის და საერთო კრებისათვის. ეხლა, ნაცვლად იმ ქხინისა, რომელშიდაც მოთავსებული იყო რესტორანი, აგებულია

ლამაზი სახლი, რომელშიაც მოთავსებულია ყველა ეს ჩვენი დაწუ-
სებულებანი. ამიერიდან მთელი ეს უძრავი-მოძრავი ქონება, ასო-
ციაციის ერთ-ერთ საერთო კრების დადგენილებით, ეკუთვნის მო-
მავალ თავისუფალ საქართველოს რესპუბლიკას.

ზეიმი დაიწყო ბანკეტით და დამთავრდა საერთო საღილით.
ზეიმს დაესწრენ უკლებლივ ყველა აქ მცხოვრები ქართველები.
მოწვეულნი იყვნენ აგრეთვე ფრანგი სტუმრებიც: სოშოს მერი, პე-
ტრი დაწესებულებათა და ადგილობრივ პრესის წარმომადგენელნი.
ბანკეტი გახსნა ასოციაციის თავმჯდომარემ ბ. ლ. ბაქრაძემ. მიესა-
ლმა დამსწრე სტუმრებს და განუმარტა მათ ამ ჩვენი ეროვნული
დღესასწაულის მნიშვნელობა, მოკლეთ შეეხმ ჩვენი დამოუკიდებ-
ლობის გამოცხადების ისტორიას და შემდეგ ბოლშევიკურ რესეთის-
მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის მოსპობას. გააცნო მათ აგ-
რეთვე ბოლშევიკური რეჟიმის საშინელებანი, ქართველი ხალხის-
ბრძოლა თავისუფლებისათვის და ის მძიმე პირობები რომელშიდაც
უხდება აქ გადმოხვეწილ ქართველობას ცხოვრება, „მავრამ როგორც
აქ მყოფნი, ისე იქ, საქართველოში დარჩენილნი გულგაუტეხელად
და მომავლის იმედით აღფრთოვანებულნი იბრძვიან საქართველოს
დამოუკიდებლობის აღსადგენათ და მხოლოდ, როცა ეს იდეა ჩვენი
ქვეყნის თავისუფლების სრულიად გაიმარჯვებს, მაშინ ჩვენი სიყვა-
რული და სიმპატიები უფრო მეტი იქნება საფრანგეთის კეთილ-
შობილ ერისადმი, რომელმაც დიდი სამსახური გაუწია წარსულში
ყველა ჩაგრულ ერებს და ეხლაც მედგრად იცავს ამ ტრადიციებს.
გაუმარჯოს საფრანგეთს და თავისუფალ საქართველოს“; ასე და-
ამთავრა თავის სიტყვა ბ. ბაქრაძემ, და პირველი ჭიქა შესმული იქ-
მნა საფრანგეთის და საქართველოს საღლევრებლოდ. გუნდმა ბ. შ.
შენგალის ლოტბარობით იმღერა ეროვნული ჰიმნი. შემდეგ მეტად
თავაზიანად მოგვესალმენ სოშოს მერი და პეტოს სახლის წარმომა-
დგენელი და ალუქვეს ყოველგვარი დახმარება როგორც ასოცია-
ციას, ისე მის წევრებს. ბანკეტის გათავებისას მხურვალე პატრიო-
ტული სიტყვა სოქვა ყველას დავალებით ბ. ვლასა მგელაძემ, რომ-
ლის მჭერა ხმამ დიდი აღფრთოვანება შექმნა და ის მჭუხარე ტა-
შით იქნა დაჯილდოვებული.

შემდეგ დადებულ იქნა ყვავილების გვირვევინი სამშობლოსათვის
თავდადებულთა ძეგლზე ქართველთა ასოციაციის სახელით.

ასევე მწყობრად და უნაკლოდ იქნა ჩატარებული საერთო საღი-
ლიც. განსაკუთრებით კარგი შთაბეჭდილება მოახდინა ფრანგ სტუ-
მრებზე და აღტაცება გამოიწვა ქართულმა ხალხურმა სიმღერებმა
და ცეკვამ. ლექსები წარმოსთქვეს ქართულ და ფრანგულ ენებზე
ზინა შავდიას ასულმა და თეიმურ აბდუშელმა. მეტად მოხდენილად
და ლაზათიანად იცეკვა ჭეთო ჭიათურიშვილის ასულმა. ყველა დიდი
ნასიამოვნები დაიშალა საღამოს 6 საათზე.

ამ ჩვენს დღესასწაულს ადგილობრივმა პრესამ ყურადღება მისა და მას გულთბილი და თანაგრძნობის წერილები უძლვნეს.
სევერიანე.

სოშოს ქართველთა ასოციაციის წევრთა წლიური საზოგადო კრება.

ქ. სოშოში 2 ივლისს შესდგა ქართველთა ასოციაციის წევრთა წლიური საზოგადო კრება, პ. მ. ბარამიძის თავმჯდომარეობით. ასოციაციის გამგეობის მოქმედების შესახებ მოხსენება გააკეთა ასოციაციის თავმჯდომარებ ბ. ვლ. ბაქრაძემ. აგრეთვე მოხსენებულ იქნა მოხსენებანი სარევიზიო კომისიის თავმჯდომარის ავ. ურუშაძის და საზოგადოების ხაზინადარის კვ. ულენტის.

გამოირკვა, რომ გასული საანგარიშო წლის განმავლობაში საზოგადოების მუშაობა იყო დამაკმაყოფილებელი და ფრიად ნაყოფიერი, რაც გამოიხატა იმ ვალების გასტუმრებაში, რომელიც გამოწვეული იყო ასოციაციის მიერ უძრავ - მოძრავი ქონების შეძენით და ძველი შენობის გადაკეთებით და ახალის აგებით, ბიბლიოთეკის მოწყობით და 26 მაისის გამართვით.

საერთო კრებამ ერთხმად დაამტკიცა ასოციაციის წლიური ანგარიში. დასასრულ მოხდა ახალი გამგეობის და სარევიზიო კომისის არჩევნები. გამგეობის თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ბ. ვლ. ბაქრაძე. წევრებად: კვ. ულენტი, მიხ. ნატაშვილი, შ. ქურიძე და ზ. წუსავალი წყაროა მისი რესტორანი, რომლის გამგეა ვ. ჩხიკვიშვილი, რაჭაძე; კანდიდატათ მელ. ულენტი.

დასასრულ აღსანიშნავია: ასოციაციის ერთად - ერთი შემოსავალი წყაროა მისი რესტორანი, რომლის გამგეა ვ. ჩხიკვიშვილი, რომელიც პირნათლად ასრულებს თავის მოვალეობას, ამის გამო მას მაღლობის მეტი არა ეთქმის რა.

ბიბლიოთეკის მოვლა - პატრონობა დაევალა ბ. მიხ. ნატაშვილს. ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ ყოველი ქართველი მას დახმარებას აღმოუჩენს ამ საქმეში ქართველ გამომცემლებს და ავტორებს კი ესთხოვთ ნუ დაიშურებენ თავიანთ გამოცემათა თითო ეგზეპლარს საფრანგეთში ამ ერთად - ერთ ქართული სამკითხველო-სათვის

ს.

პ რ ე ს ა .

კავკასიური პრობლემის „გარშემო“.

დაშნაკციურუნის პატრიის ყოველ-დღიურ გაზეთ „არაჩ“-ში ამაწლის 27 ივნის დაბეჭდილია სომხის უურნალისტის ბ-ნ აშოტ არწრუნის საყურადღებო წერილი კავკასიურ საკითხზე. იგი თავის წერილში არჩევს ბ. დ. ვაჩნაძის წიგნს „კავკასიურ პრობლემას“ და გზა და

გზა გამოსთქვამს საგულისხმო აზრებს, რომელნიც მოგყვავს აქ შეუძლებლივ.

თავიდანვე ბ-ნი არწრუნი სომხის მკითხველებს გადუშლის ამ წიგნის შინაარს გასაცნობად და თავის მხრივ დასძენს:

”ყველაზე საგულისხმო ნაწილი ბ. დ. ვაჩნაძის წიგნისა—მესამე თავია, სადაც იგი ცდილობს გაარკვიოს კავკასიური საკითხი. როგორც ზევით აღნიშვ ავტორი არის ერთი უმხურვალესთაგანი პროპაგანდისტი კავკასიის ერების კავშირისა. იგი სოვლის მას არამც თუ აუცილებელ საჭიროებად, არამედ ღრმად სწამს მისი განხორციელების შესაძლებლობაც. მისი აზრით, კავკასიის გაერთიანებას დღეს ხელს ვეღარ შეუშლიან—ვერც ენების, ვერც სარწმუნოების და ვერც ეროვნულ ჩამომავლობის განსხვავებანი, რადგანაც დიდის ხნის საერთო ცხოვრებამ, საერთო ზნე-ჩვეულებებმა, ერთმანეთზე ქულტურულმა გავლენამ, ცოტად თუ ბევრად გააშალაშინეს მათ შორის არსებული სხვა და სხვაობანი. მეორეს მხრივ კი დღეს მათ აახლოვებს მრავალი საერთო და მთავარი, სახელდობრ: საერთო ძლიერი ეკონომიკური ბაზა და საერთო პოლიტიკური ინტერესები, რომელნიც უშლიან კავკასიურ ერებს ფართო საერთო სასარგებლო პერსპექტივებს.

კავკასიური ერთობა ბ-ნ ვაჩნაძეს წარმოუდგენია კავკასიის კონფედერაციის სახით და კავკასიურ პრობლემის გადასწყვეტად ამ ფორმას ბ-ნი ვაჩნაძე მის საუკეთესო ჩარჩოდა სოვლის.

რასაკვირველია ქართველ მოლვაშის ამ დასკვნებს შეიძლება შეეკამათონ, მაგრამ მაინც ვერ უარყოფენ მის კეთილ ნებისყოფას ამ საკითხის გადასწყვეტაში. მართალია მის ზოგი ერთ საბუთებს აკლია სისრულე ან სისწორე, მაგრამ დღის სინათლესავით ნათელია, რომ თავის წიგნში იგი მრავალმხრივ სცდილობს დაამტკიცოს, რომ კავკასიის ერები, გარეშე გულწრფელ და გონიერ შეერთებისა, ვერასოდეს ვერ მოახერხებენ ვერც განთავისუფლებას უცხო ულლისაგან, ვერც თავდაცვას გარეშე მტრისაგინ.

ბ. დ. ვაჩნაძის მიერ აღძრულ საკითხებისა.

ჩვენ მოვალენი ვართ მეტად გულდასმით დავიწყოთ შესწავლა

როცა ვკითხულობ ბ-ნ ვაჩნაძის წიგნს—განაგრძობს ბ-ნი არწრუნი—ზედ-მეტად ვრწმუნდები, რამდენად ჩვენ, კავკასიელი ხალხები ნაკლებად ვართ გაცნობილნი ერთმანეთის წარსულ ისტორიას და თანამედროვე ცხოვრებას. ჩვენი სომხის ახალგაზრდობამ დღეს უფრო მეტი იცის პარაგვაიზე ვიდრე საქართველოზე, აზერბაიჯანზე ან დაღესტანზე. თუ გნებავთ ამასვე უნდა მიეწეროს ბ-ნ ვაჩნაძის წიგნში შეპარებული შეცდომანიც და გამოკლებული მნიშვნელოვანი საბუთებიც. მაგალითად იმ ნაწილში, სადაც ბ-ნი ვაჩნაძე მოვგოთხობს ქართველ-სომეხთა ისტორიულად მეგობრულ განწყობილების ამბებს. უკანასკნელ საუკუნეების მათი განმანთავისუფლებელი

მოძრაობის აღწერაში მას გამოუტოვებია ერთი დიდი ამბავი სომხების პრძოლისა დავით-ბეგის მეთაურობით (მე-XVIII-ე საუკუნის დასაწყისში). ეს ბრძოლა ერთი საუკეთესო ფურცელთაგანია სომხის ისტორიისა. საერთოდ ცნობილია, რომ დავით-ბეგი ჩამოვიდა სიუნიკში საქართველოდან და ქართველების დახმარებით.

ბ-ნ ვაჩაძეს არა აქვს სწორი ცნობები აგრეთვე თუ რა ხდება თანამედროვე სომხების ცხოვრების წიაღში. ეს იქიდანა სხანს, რომ ქართველ მოღვაწეს კავკასიურ სომხებში ოსმალეთის სომხების გადასახლების საქმე ბოლშევიკურ ინტრიგად ევლინება. რასაკვირველია ამაში ჩვენ, სომხები ვართ დამნაშავენი. დროზედ და მუდმივ თუ გავაცნობდით ჩვენს მეზობელ ქართველებს სომხის ცხოვრების სრნამდვილეს და განუმარტებდით, რომ ეს საკოლონიზაციო პოლიტიკა არის ჩვენი საქმე და არა ჩვენი მტრებისა-ბოლშევიკებისა, რომელსაც ჩვენ ვებრძვით, მაშინ პატივცემული ქართველი მოღვაწე არ დაუშვებდა ასეთ შემცდარ აზრის გამოთქმას.

მაგრამ ყველაზე დიდი შეცდომათ ბ. დ. ვაჩაძისა მე ვსთვლი იმ սდგილს წიგნისა, სადაც იგი ამბობს, რომ დიდი ომის დროს რუსეთმა დაჯანყა სომხები თურქების წინააღმდეგ და 1917 წელს კი, რეკოლიუციურ რუსეთის ჯარმა დასტოვა ფრონტი, და მიატოვა სომხები ოსმალეოს შურისსაძიებლად და გააულეტინა მას მთელი ერი. მე მინდა ვითიქრო, რომ ეს შეცდომა ბ-ნი ვაჩაძისა არის შედეგი მისი გაუცნებლობისა ამ საკითხში, რადგანაც სომხების ულეტა იყო წინასწარად მომზადებული და მოხდა რუსეთის რევოლუციის დაწყების ორი წლის წინად—1915 წელში.

კავკასიის ერთა დამოკიდებულების საბოლოო სამართლიან გარკვევის და გაერთიანების საქმეში, ამ საკითხების სწორ გაშუქებას აქვს უდიდესი მნიშვნელობა. და თუ ყველაფერი ეს სწორად გამოიკვა და ამასთანავე გულწრფელია ბ. ვაჩაძის მიერ ჩვენი დარწმუნება რომ „კავკასიის კონფედერაცია დაიცავს თანასწორად თავის ჩრდილოეთის და სამხრეთის საზღრებს—“ო,— მაშინ ჩვენ ადვილათ შევთანხმდებით.

სარედაქციო კოლეგია.

La gérante : Suzanne Bertillon.



რედაქციისაგან.

აშიერიდან ჩვენი ჟურნალი „სამშობლო“ გამოვა ყოველ ორ თვეზე სისტემატიურად. რედაქცია მოთავსებულია: Typographie Franco-Caucasienne, 50, Faubourg du Temple, Paris XI^o.

ყოველი დასაბეჭდი მასალა უნდა გადმოიგზავნოს ამ მისამართით ელ. პატარიძის სახელობაზე. მისგანვე შეიძლება ჟურნალის გამოწერაც.

საფრანგეთში. უცხოეთში.

ჟურნალის თითეული №-ზი ღირს	3 ლრ.	4 ლრ.
6 თვით გამოწერა	8 ლრ.	10 ლრ.
1 წლით —	15 ლრ.	20 ლრ.

TYPOGRAPHIE
FRANCO-CAUCASIENNE
50, FAUBOURG DU TEMPLE
PARIS XI^e